

განთიადი



ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნ. ლი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ვარლამ ლევანისძე გეოლოგისა.
2. ია ეკლოძე, ხ—ლეღისა.
3. ლექსი, დეტუ შეგრელისა.
4. სიტყვა, ბაბო მკედლოძის ასულისა.
5. ბრწყინვალე შოშიელისკენ, ივ. ი—ანისა
6. ბაბო, მოთხრობა, გ. ვერალიძისა.
7. ერობა და ჩვენი საზოგადოება, გ. თუ-
შანიჭვილისა.
8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ხომლე-
ლისა.
9. მწიგნობრობის თანამგზავრი, ისდო-
რე კვიციანიძისა.
10. მწირო, პოემა, დ. საქარელისა.
11. ომის მატიაწე.

† ვარლამ ლევანისძე გეოლოგისა.

15 მარტი 1915 წ.


მ უ თ ა ნ ი ს ი

სტამბა „მშობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

განსვენებული სათათფიროს მუშაობაში თან და თან იზღებოდა და ღონიერდებოდა, როგორც საპარლამენტო ორატორი და მებრძოლი. იმედიც იყო, რომ უღმობედ სიკვდილს უდროოთ თავისი არ ექნა, ის უფრო დიდ კვალს დატოვებდა ჩვენს ცხოვრებაში...

ვარლამი შეიქნა ქართველური გულკეთილობის სხვერპლი. ომის გამოცხადების შემდეგ, იგი გაემგზავრა გერმანიის საზღვარზე, სადაც

თავგანწირული მუშაობთ დიდი პატივი და ყურათღება დაიმსახურა. როდესაც ოსმალებმა გამოუცხადა რუსეთს ომი, მაშინ იგისახელმწიფო სათათფირომ ვაგზანა კავკასიაში თავის სასანიტარო რაზმის ხელმძღვანელათ. განსვენებულმა ვარლამმა, თვით რუსეთის პრესის სიტყვივად, დაუფასებელი სამსახური გაუწია დაქრილ-დატანჯულ მოქმედებს. არავითარი დაბრკოლება, არავითარი შიში არ არსებობდა მისთვის, როდესაც მისი დახმარება ვისმეს რამეში ჭირდებოდა. და, აი, ამ გვარმა საარაკო თავგანწირვით მუშაობამ ისხვერპლა იგი სარაკამიშის რაიონში. 7 თებერვალს შავი სახადით ვარლამი აეთა გახდა. ხოლო 22 თებერვალს სამუდამოთ თვალეები დახუჭა და სამშობლო ქვეყანას გამოესალმა... საუკუნო ხსენება მის თავგანწირულ და კეთილშობილ სახელს.



(ოცე წლის სლიტერატურო მოღვაწეობის გამო).

ია ვეალაძე.

ამ ათი წლის წინათ თფილისში დაისტამბა ია ეკლამის პირველი ტომი და ახლაც

ცალკე წიგნათ უკვე დამზადებულია ამ მწერლის ნაწარმოებთა მეორე ტომიც. მარა, ომი-

ანობის გამო, ვერ მოხერხდა იმისი გასაყიდად გამოტანა,

ია ეკალაძე დასაჩუქრებულია ბელეტრისტულის ნიჭით, რომელსაც ვადვილება ლაზათიანი, მოხდენილი სურათები და ცოცხალი ნახული სცენებიც საკმაო პოეტურის მრავალგვარობით აქვს მას დახატული.

„გრდემლის“ პირველ წიგნში იმისი კალმის ნაწარმოები: „რას ამბობენ გერსეგბა?“ დიდსა და სიამის მომგვრელ ჩაბეჭდილებას იწვევს მკითხველის გულში...

ია ეკალაძე აქ, ამ ნაწარმოებში მაინც ერთბაშით გაიზარდა, ხორცმცხსმულ ცოცხალ პოეტათ დადგა ჩემ თვალის წინ. ცხოვრების სულ უბრალო ამბავი პოეტურის ტალანტით შეენიერათ დახატა და ჩვენი გულიც გაამხიარულა, გაასპეტაკა, დიდი სიამოვნება მოგვგვარა...

ია ეკალაძეს დიდის გულწრფელობით გამოუყვანია და ცოცხლათ დაუჭატავს არჩილ თოთლაურის და ნანოს შეხვედრა ქალაქ ვორიანაში. ეს ამბავი დაკვირვებით, მეტათ ლამაზი დახვეწილი, მხატვრული ქართულის ენით გადმოუტანია ქალაღღზე. ავტორის ნაწარმოების გმირები განყენებული, უსისხლ ხორცო პირები არ არიან, ნამდვილ ცხოვრების დულიდიან ამოგლეჯილი, დაკვირვებით დახატულნი არიან და ამ ზომაზე გადაუცილებელ პოეტურ ნაწარმოებს თქვენ მიყავხართ ქეშმარიტი ესტეთიური დატკობის და სიამის მომგვრელს არე-მარეში...

შარშან, ახალ გამოზაფხულზე, ქუთაისში დაარსდა სალიტერატურო და საპოლიტიკო ჯკუფი, ასეწოდებულ, ქართველ ნაციონალდემოკრატებისა, რომლის ერთ-ერთ მებაიჩახტრეთ ია ეკალაძეც შეიქნა.

მდგომარე წლის თებერვალში. მან დაიწყო საკუთარი ყოველდღიური გახეთის „სამშაღღს“ რედაქტორობა, რომელსაც კვირობით ნახატებთან დაბატებთაც სტამბავს.

როგორც ხედავთ, ეს ამბავი პირველი საქმეა ჯერ ჩვენს ქუთაისში და ავნიშნავ ამ

ფაქტს იმიტომაც, რომ ეს ახალი საქმე დაიწყო აქ იმერელმა კი არა, ქართლელმა, ძარღვიანმა და ძლიერი ნებისყოფის და ხსიათით მაგარმა ივერიელმა, რომელსაც შრომის ნიჭიც და ენერგიაც დაუშრეტელი აქვს...

ია ეკალაძე (იაკობ თომას ძე ცინცაძე) დაიბადა 1872 წ. 26 მარტს სოფელ ციმისში, თერგის ოლქში. მამა იმისი მთავარ-დაიკვანთ იყო იქ გამწესებული. იქიდან თომა გადმოიყვანეს ჯავის ხეობაში, მდ. ლიახვის შეენიერ არე-მარეში, სადაც ყრმობისას იზრდებოდა ჩვენი მწერალი. პირველდაწყებითი სწავლაც აქ მიიღო მან ჯავის სამრევლო სკოლაში.

1881 წ. ია მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მას დიდათ მფარველობდა და ხელმძღვანელობასაც უწევდა ქართული ენის მასწავლებელი, ჩვენი ცნობილი მწერალი სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი. ამის მეთაურობათ დაარსდა ხელნაწერი ეურნალი „შრომა“, სადაც ია, — მეთოხე კლასის მოსწავლე, — იღებდა მხურვალე მონაწილეობას.

1887 წ. ია მიღებულ იქნა თფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იგი ამხანაგთა შორის ითვლემოდა ერთს საუკეთესო მოწაფეთ.

1893 წ., როცა ია უკანასკნელ კლასში იყო და ის იყო, სემინარიის კურსიც უნდა დაესრულებინა, იგი სემინარიის მთავრობამ გამოორიცხა.

დამეთანხმებით, დიდი ენერგია და ხსიათის გაუტყეხელობა იყო საჭირო, რომ ია საუკუნოთ არ დაკარგულიყო, არ დაღუპულიყო...

და, აი, თვისი ცოცხალი ნიჭის წყალობით მან ცხოვრებაში გზა გაიკაფა. ეს მოხდა მეორე წელსვე, სახელდობრ, 1894 წ., როცა გაზ. „ივერიაში“ მისი ნაწერი დაისტამბა და „ივერის“ რედაქციაშიაც იქნა მიწვეული (დავ. მიქელაძის (მეველეს) წყალობით).

1897 წ., ამ გაზეთში დაისტამბა იას მოთხრობა „მოწაფეთა ცხოვრებიდან“. ახალგაზდა აეტორი ადმინისტრაციულის წესით

გადასახლებულ იქნა საქართველოდან და ერთათ ერთი ყოველდღიური გაზეთი მთელს საქართველოში — „ივერია“ შეაჩერეს ცხრა თვით...

იას ბეგრი ტანჯვა და ჯოჯოხეთი აჩვენა ცხოვრებამ: დაცოლშვილიანებული, ოჯახს მოკიდებული, საშვალო განათლება მიღებული, მარა სრულიათ უფულებო და ყოველგვარ პატივს აყრილი კაცი იძულებული შეიქნა დამდგარიყო გადამწერლათ, კანტორშიც კათ, რკინის გზის ჭებრალო მოსამსახურეთ, დამზღვევ საზოგადოებაში და ბანკშიც მსახურებდა, მგონია. აჰან ცოცხალ ნიქს, ნაკითხს ახალგაზდას შესძინა დიდი გამოცდილება, ბევრი ავ-კარგი ჩვენი ცხოვრებისა, ფართეთ მან დაინახა ჩვენი ერის წყლულნი და გაამდიდრა ნიქი...

1906 წ. დაუვიწყარი „გამათავისუფლებელი მოძრაობის“ დროს, როცა, პოეტის თქმისა არ იყოს, „გულში იფეთქა სიამემ“... უბედურ სემინარიელებსაც ნება დართეს უნივერსიტეტებში შესულიყვენ და ჩვენს ენერგიულს იასაც ვხედავთ კაზანის უნივერსიტეტში. მან იქ 1911 წელს იანვარში, დაასრულა იურიდიული ფაკულტიტი და საქართველოში ჩამოვიდა.

პირველათ ქ. გორში დაიწყო გაზ. „ქართლის“ გამოცემა, სტამბის საქმეც მოაწყო იქ და ქართული ენის ოდგილი ეჭირა გორის გიმნაზიაში. შარშან ქუთაისში გადმოვიდა და მიღებულ იქნა ქართული ენის მასწავლებლათ ქართულ გიმნაზიაში, წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის უმაღლეს კლასებში და ქ-ბ-ნ პავლე ხოჯივანოვის ასულის ქალთა გიმნაზიაშიაც.

ს -- ლელი.



ვარსკვლავებთან.

ცის უსახდვრო სივრცეს ვუმზერ, ვხედავ ურიცხვ ვარსკვლავთ კრებულს, ზოგს მოელვარ-მოკაშკაშეს, ზოგს მიბნედილ-მიმკრთალებულს,

კალცალკე და ყველა ერთათ საამოთ რომ ციმციმებენ,— ხან უელიან თითქო ფერხულს, ხან რალაცას ჩურჩულებენ.

და, მგონია, რომ ისინიც მიყურებენ, მიღმიან, ესმისთ ჩემი სულის სწრაფვა, თანაგრძნობით გულს მიწვდიან! მეც ოცნებით მივფრენ მათკენ და ვერევი მათს ფერხულში და ვინთქები მათთან ერთათ სივრცისა და დროს უფსკრულში!..

ვიმ, ამ ყოფნას, ამ ქვეყნიურ ფიქრ-ზრუნვისა უარმყოფელს, მიახლოვებს რომ ვარსკვლავებს და მავიწყებს წუთისოფელს!

ვიმ, ამ ყოფნას, თუმც წამიერს, მარა თითქო მარადიულს, ვარსკვლავებთან, რომ ვგრძნობ კავშირს და ერთობას, არმონიულს!

ვიმ, ამ ყოფნას! გაქრა ყველა: აღარც სივრცე, აღარც დროა, არც ზეცაა, არც ქვეყანა; მხოლოთ ერთი სამყაროა,—

გროვა ურიცხვ ვარსკვლავების და მეც მათთან მიღვეს წილი! ვიმ, ამ ყოფნას, რომ ველარ სძლევს, ვერც სიციცხლე, ვერც სიკვდილი!..

ღუტუ შეგრელო.

ს ი ბ ყ ვ ა

თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მონღობილობით ბაბო მქედ-ლოძის ასულის მიერ.

„არა! აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტებს ჭალარა. გმირებს დაეძებს უყვივის — ჩემი დაფი და ნალარა!..“

ასე გაიძახოდა მუდამ მხცოვანი მგოსანი — ის მუდამ ეამს ამუსიკებდა თვის ენას და თვის დაფით და ნალარით უყვიოდა გმირებს, დაეძებდა, იკრებდა თვის გარშემო და აღმფრენით ჩასძახოდა:

„დასთესეთ თესლი კეთილი
შესარგო მამულისაო
და ნახათ ნამგლის ტრიალსა
„ჰოპუნით“ მომკელისაო“...

და, აჰა! ჩაქრა იმედები, ჩაქრა კანდე-
ლი, ჩაქრა ამუსიკებული ენა—აკაის უმტყუ-
ნა ქალარამ და ჩვენი სამშობლოს საუკეთესო
დარაჯი, ჩვენი ბედკრული ერის საუკეთესო
ქურუმი ხელიდან გამოგვაცალა. დიას! და-
იწვა ხატის წინ ანთებული წმიდა სანთელი,
აკაი წარგვიტაცა შეუბრალებელმა სიკვდილ-
მა და მასთან ერთად წარიტაცა ჩვენი აღმა-
ფრენა, საუკეთესო ზრახვანი და გულის
თქმანი... დღეს ტირის მთელი ქართველობა,
დღეს მოათქვამს ის, ვისიც გული ოდნავ მა-
ინც ძგერს თვის მრავალ-ტანჯულ სამშობ-
ლოსადმი სიყვარულით, ვინაიდან აკაისთან
ერთად ჩაესვენა წრფელი, ნაზი, ნარნარი,
წმიდა გრძობა სამშობლო ერისადმი სიყვ-
რულისა. დღეს ტირის და მოათქვამს ბნელ
კუნჭულში მიმალული, ბნელ სარდაფში თავ-
ჩაქინდრული მუშა, რადგან აკაისთან ერთად
ჩაესვენა გრძობა ღარიბ-ღატაკთა სიბრალე-
ლისა; დღეს ტირის გულამღვრელი, უში-
ნაარსოთა ბრბო, რადგან აკაისთან ერთად
დღეს მიწას მიაბარებს მათ მუდმივ დამრიგე-
ბელს, მათ მხილებელ-აღამიანს; დღეს ტირის
და მოათქვამს ახალგაზრდობა, რადგან მათ და-
კარგეს საუკეთესო მასწავლებელი, საუკეთესო
მამა—აღმზრდელი—მგოსანი. ერთის სიტყვით,
დღეს ვალაღებს ყველა და ამ სივალაღეს
ბანს აძღვეს: ხე, თუ ბუჩქი, მთა, თუ ველი,
ტყე, თუ მიდორი—ყველა ერთგვარ გულის
თქმას მოუტაცეს.

რამ გამოიწვია ასეთი ტანჯვა, ასეთი სი-
ვალაღე? ვინ იყო აკაი, რა იყო, რას ემსა-
ხურებოდა, რა აზრები ასაზრდოებდა მას? ამ
კითხვაზე ძლიერ ადვილათ მოგიგებენ—არა
მარტო უზენაესის ნიჭით დაჯილდოვებულნი,
არა მარტო ის, ვინც სოფლიოში ყველაზე მაღ-
ლა დგას, ამას მოგითხრობს და გეტყვის უბ-
რალო, ღონე-მიხდილი მთხოვარა-კი. კით-
ხეთ ბავშვს, კითხეთ მოხუცს, ახალგაზრდას,
ყველა ერთნაირ პასუხს მოგცემთ, ვინაიდან

ისინი ყველა ერთნაირის მოწიწებითი გრძო-
ბით არიან გამსჭვალული აკაისადმი. აკაი
ხომ ლამპარი იყო, წმიდა ლამპარი, რომე-
ლიც ერთნაირათ გზას უნათებდა ყველა იმათ,
ვინც სიბნელეში დახშულან? აკაი ხომ ფარ-
ვანა იყო, რომელიც თავს დაფარფატებდა
ყვავილებს და არ ზოგავდა ღვთისგან ბოძე-
ბულს არც ნიქს, არც ძალას, არც ღონეს,
რომ ხალხი საერთო ჭირვარამისგან ეხსნა?

მას ხომ „ტრემლ“ში უღესაგს ნაღველი და
მენლათ ის უხმარია“, რომ უფრო მკაფიოთ,
უფრო მკრელათ ემოქმედებინა მის სიტყვებს
უშინაარსოთა ბრბოზე?

მარა, ყველა ამასაც რომ თავი დავანებოთ,
მის მოღვაწეობას გვირგვინს ადგამს, მის პი-
როვნებას უკვადების საშოსელს აცმევს ერთი
რამ საგანი: ეს საგანი საშობაღმას, რომელიც
საზოგადობრივ ცხოვრებაში განიკდის ტანჯვას
სხვის მიერ და, რომლის გული წარუშლელი
იარით არის დადაგული. თავის სატრფო სამ-
შობლოს ის ყოველთვის არიგებდა ხოლმე:

„ქინჰარში ნუ ვარდები,
ნუ გგონია მანდ იაო“
და, როდესაც სატრფო ამ დარიგებას არ მი-
იღებდა ხოლმე, ის სრულ სასოწარკვეთილე-
ბაში ვარდებოდა. ის იყო ტარიელი, რომე-
ლიც თავს იწირავს თვის სამშობლო ნესტა-
ნის დახსნისთვის, ტარიელი, რომელიც ვარ-
ბოდა მიდორ-მიდორ, ეძებდა მეგობრებს, რომ-
ლებისთვისაც ხელი უნდა ვაეწოდა და შეერ-
თებულის ძალით ნესტანი ქაჯათ ტყვეობისგან
ეხსნათ...

ის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, რო-
დესაც გადახედავდა თვის სამშობლოს დაობლე-
ბულს, მიყრუებულ ტყე-ველს და სასოწარკ-
ვეთილივე მიუბრუნდებოდა ქართველ კაცს და
უთბებოდა:

„აბა, მითხარ, ვინა ხარ?
უცხო კაცათ არ ვარგხარ, აღარცა შინა ხარ,
ორთა შუა აგდინხარ, სანაგველას დარიხარო“.

მარა, აჰა! გადახედავდა რა ის თვის წი-
ნაპართა ნამოქმედარს, გადახედავდა რა იმ
კახე-კოშკებს, რომელნიც ჩვენ წინაპართ
აღუგიათ მტრისგან დასაცავათ, გადახედავდა

ცათლმართულ იალბუზის, ყინვარის, კავკასიის ქედებს და იმედით, იმ იმედით, რომელიც მუდამ ეამს მისი განუყრელი თანამგზავრი იყო, წარმოთქვამდა ხოლმე:

„არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს და ისევ გაიღვიძებსო“...

და, სწორეთ ასეთ ზომიერის დაკარგვაზე მოთქვამს დღეს მთელი ქართველობა და ამ მოთქმას უერთდებიან დაობლებული, ბედისგან მწარეთ დატანჯული,

ქართველი დედები, რადგან ისინი დღეს მიწას აბარებენ თავიანთ მხნე დარაჯს, მათთვის თავდადებულ, დაულალავ მუშაკს, ქირისუფალს, რომელიც თავს დასტიროდა მათ მწარე ხვედრს, მათ დაცემას, და მუდამ სახეში უყენებდა ძველ დედებს, რომ ახლებს მათ კვალზე ეართ... მან იცოდა, რომ აქ, ნინო, თამარ და ქეთევან სამარადისოთ ქებულან“ და „აღუზრდიანთ გმირები სამშობლოს მხსნელათ და ზვარაკათ“. ის გუნდრუქს უკმევდა ამ დედებს, მარა წუხდა, რომ „იმათ სხივებზე დღეს ქართველი ქალი თვალს ვედარ ახელს“, წუხდა, რომ მათ სამშობლო უკვე დავიწყებით და აღარ უზრდიან მას გმირებს...

ნაზი, ნარნარი, ლეთებრივი დედა აკაკისგან განპიროვნებული, თვის შვილს გასაზრდელათ სხვას კი არ მიაბარებს, არამედ თვითონ მიუჯდება აკვანს და ნაზადვე დამღერის:

„ანუგეშე, სადაც ნაზო მოძმე მწუხარყო. შვილო! მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარყო.“

ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტრები აშინაო, ივენანა, ვარლო ნანა, ივე ნანინაო“...

და დღეს, დარწმუნებული იყავით, რომ დაჩაგრული დღეინდელი პირობებისგან ქართველი დედაც ეცდება არ დაკარგოს აკაკის ნანდერძები, დარიგებანი... ამერიიდან ქართველი დედა ეცდება მიზნათ და იდეალათ დაისახოს: „ნინო, ქეთევან და თვით თამარი“ და მაშინ, უთუოთ, შემოფრინდება მერცხალი და აკაკის საფლავს კიკიკით გადასახებს: „გაზაფხული, გაზაფხულიო“... და მაშინ გაზაფხულის იმედიც ხომ გულს ჩაგვესახება?!

მანამდის-კი, მშვიდათ განისვენოს „წმიდათ წიაღში მამათ კრეულთან“ მან, რომელმაც „ოფლით მორცხვა წმიდა სისხლით ღებული სამშობლო“, რომ პირნათლათ შეყროდა იმ ჩვენ ქებულ წინაპრებს.

ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე მ ო მ ა ვ ლ ი ს ა კ ე ნ .

(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ბანთადის“ 1 და 2 №-ში).

მარიამობისთვის უკანასკნელი რიცხვი იყო. ზაფხული მიდიოდა წყნარ-მზიანი დღეებით და კრიალა მთვარიანი ღამეებით... სევდიანი სიყვარულით მიდიოდა დღით მოზეიმე და ღამით მოზლაპრე თფილი ზაფხული, თითქო ნალევლობსო, რომ შორდება პატარძლივით მორთულ სოფელ თავადისეულის მიდამოებს.

მარა, ფრინველებს ჯერ კიდევ აქიკიკებდა, მწვანე ფოთლებისთვის ჯერ კიდევ არ წაერთმია სიხალისე და მდინარეებშიაც წყლის ზედაპირი ისევ, ძველებურათ სარკეობდა.

საუცხოვოთ გათენდა იმ ზაფხულის ერთი უკანასკნელი დღე. უსაზღვრო, ოქროს

სხივებით დაფერილ ციდან ჯერ მთვარე გაიპარა, მერე ჩუმათ და რიგ-რიგათ მიყვენი ვარსკვლავები და, როცა მზიარული ცისკარი მოახლოვდა, ცამ ფერი იცვალა, მხოლოდ რამდენიმე წუთით ინაცრისფრა, მარა სულ მალე აღმოსავლეთს ალი მოედო და აჩინჩალოდა. ამ დროს მზემაც წვერი ამოყო. სოფლის ქოჩორა მთა-გორებს სხივები მიაფრქვია, მოიტაცა მის კალთებზე გაწოლილი ღამის ბინდი და ძირს, მიდორ-ველს მიაფინა. ცვარმაც ციმციმი დაიწყო ბალახ ყვავილებზე და მთის წვერიდან ჩურჩულით დაიძრა დილის გრილი და ცელქი ნიავი.

გაიღვიძა სოფელმა თავადისეულმა.. კენ-

ინა ბაბოსაც სწორეთ მაშინ გამოვლვიდა, როცა მხურვალე მზემ შეინათა მის საწოლ ოთახში და დიდრონ შავ თვალების ქუთუთოებზე თამაში დაუწყო. ბაბომ თვალეზი გაახილა და დილის შუქით ნასიამოვნებმა ვნებით გაიხზორა... კედლის საათზე ათის ნახევარი იყო აღნიშნული.

— მაყვალა!.. მაყვალა!.. მაყვალა, გოგო! არ გესმის?!

წამოიძახა ბაბომ ისეთი ტკბილი ხმით, როგორც ეწვევა ყოველ კენინას ახალ გამოვლიძებულზე.

ოთახის კარი უხმოთ გაიღო. შემოვიდა შავთშინი და ლერწამივით ტანადი გოგო.

— ერთი მითხარი, მაყვალა, თუ ღმერთი გწამს, ამდენი რომ გეძახე და არ გაიგონე, გეძინა განა?.. წადი, კოწიას დაუძახე. ნეტავი, რა ქნა?.. დაიცა... სეროიყას ძინავს?

— ძინავს, კენნა ბატონო.

— იძინოს... იძინოს! იცოდე, ხმაურობა არ ატეხონ ოთახებში და ბავში არ გამოიღიძონ! ხვალ რუსეთისაკენ მივამგზავრებ. ძილი როგორ დააკლდება!.. აბა, წადი და ჩაი აადღდე. კოწია კი უთხარი, ახლავე შემოვიდეს,!

მაყვალა გაბრუნდა. მის მავიერ, ბაბოს ოთახში გაჩდა კოწია მოურავი. კოწიას ახალი ჩოხა-ახალონი ეცვა, წელზე ეკიდა მოკაკული მოკლე ხანჯალი და, ცოტა არ იყოს, სიამაყე დაჩნეოდა. ის გაიჭიმა შუა ოთახში, ხანჯალზე ხელი დაიდო და კენინას ღიმილით მიესალმა.

ბაბოს კი, ამ დროს, ისე ცხელოდა, რომ მკერდსა და ფეხებზე თხელ აბრეშუმის საბანსაც ვეღარ იშავრებდა.

კენინა ბაბოს ნაშუადღევის ოთხ საათზე უნდა წვეოდენ ფრიად საპატიო სტუმრები და მზადებაც შესაფერი ქონდა. როგორც კოწია მოურავის მოხსენებიდან გამოირკვა, სამზარეულოში დიდიდან ფაციფუცში ყოფილან. დილა აღრიან დაუკლავთ ორი ექვს-ექვსი თვის ბატკანი, ჩვილი, ძუძუმწოვარი სბო, საუკეთესო სუქანი გოკები; მოუხარშავთ თართის დოშები, ზუთხები; მოუხდიათ შუა მარანში რომ დიდი ქური იყო—შვიდი წლის წითელი ღვინით სავსე... მეთევზეებსაც აუარებელი კალ-

მხი დაუჭერავ მდინარე კრახუნაში და კოწია მოურავიც ისე დაფაცურებულა, რომ ჩიხითმის სახელგათქმული მკეთებელიც კი უშოვია—სილიბისტრო ჩადუნელი.

ასეთ თავდარიგისათვის კოწიამ კარგი მადლობა მიიღო ბაბოსგან. მან უქანასკნელათ, ერთხელ კიდევ გადაავლო ვნებით არეული თვალეზი ბაბოს უცაბედათ გაშიშვლებულ სუქან წვივებს და, თითქო რაღაც მოენატრაო, ოთახს გულჩაწყვეტილი გაშორდა.

— მაყვალა, მაყვალა! —

ისევ გაისმა ბაბოს ტკბილი ხმა. მაყვალა ირემივით შემოყეულყელდა.

— კარაქი გააკეთეს? —

— კი, ქალბატონო... —

— აბა, მოდი.. დამეხმარე.. ღმერთო, რა სისუსტეს ვგრძნობ ამ დილით!

კენინამ გადმოაწყო ლოგინიდან თოვლივით თეთრი ფეხები, საბანი მოიშორა და გაუწოდა გოგოს ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა წვივი, რომლებიც შავი აბრეშუმის წინდებით შემოსა ლამაზმა მაყვალამ. ამას მოყვა ფეხსაცმელების და კაბის ჩაცმა.

— ახლა წადი, თავისუფალი ხარ. — უთხრა კენინამ მაყვალას და ზევით მოსასხამი თითონ ჩაიცვა. ნახევარი საათის შემდეგ, ის ნელის ნაბიჯით მიყვებოდა სახლის უქანა კიბის საფეხურებს, რომ სამზარეულოში საქირო განკარგულება მოეხდინა...

ბაბოს სამზარეულოში ყოფნის დროს სეროიყას გამოვლვიდა, გრძობით დაამტკნარა და, როცა ღრმა ძილისგან საკმაოთ გამოირკვა, ერთმა უსიამოვნო გრძობამ სავსებით დააღონა მისი ლამაზი, უდარდელი თავი. — ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა! ხვალ... ხვალ დილით ალყეე... უნდა მოვშორდე აქაურობას!

ღედა აქ დარჩება, მაყვალა, კოწია, ესცე... ისიც... არკადიც არჩენათ ისეირნებს ჩვენს სოფელში და მე... —

რაღა ეშმაკათ გავათავე ეს ოხერი გიმნაზია?! — შეეკითხა სეროიყა თავს და ჩაფიქრდა.

ზღაპრულის მომხიბლაობით მოეჩვენა სეროიყას თავადისეულის მართლაც შეწინააღმდეგარობა. ვაახსენდა ტრიალ მიდვრებში ცხენის ტენება, მათის კალთებზე ნადიმები,

უღარდელი სიმღერა და ლამაზ მერისთან სიყვარულზე ჩურჩული, ჩიტებზე ნადირობა, მღინარე კრახუნაში თევზობა, ცურვა და...

ყველა ეს ბედნიერება ხვალ დილიდან უნდა გაქრეს.

სერიოჟა მწარე მოგონებამ წამით შეიპყრო, დააღონა და ერთათ ერთი, მარა ლოყა დამწველი ცრემლი ჩამოაგდებინა.

— არ წავალ ამ ოხერ რუსეთში და ის იქნება, ხომ არ ჩამომახობენ! — წარმოსთქვა სერიოჟამ გაჯიუტებით, და მთელ სამყაროზე გაგულისებულმა, ლოგინის თავს მუშტი მიარტყა.

— ვამბობ და კიდევ არ წავალ, აი!.. ამ დანაქადს სერიოჟა კიდევ ასარულებდა, რომ დედა მისის, სწორეთ დედა მისის წყალობით, საქმე არ გაფუჭებულიყო. ამ დალოცვილმა ყველას ვააგებინა: რაო და — ჩემს სერიოჟას რუსეთში ვაგზავნიო, დღეს ნადიმობს, ამდენი თავადიშვილია დაპატიყებული, მოვლენ ეს დალოცვილები, სადღეგრძელოებს ვააჩალებენ, გზას დაულოცავენ და... ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა... ქალიშვილებიც მოისურვებენ სადგურამდი მიცილებას...

— აბა, როგორ მოხერხდება ისევ აქ დარჩენა? სირცხვილია; აბა? თვარა...

სერიოჟამ ვერაფერი ვააწყო და მწუხარებით შეურიგდა რუსეთისაკენ წასვლის აუცილებლობას.

— მაშ, ეს უკანასკნელი დღე ყოფილა ჩემი აქ მზიარულების?.. ვაი, დედასა! დღეს გაჩვენებთ, თუ ყოფილვარ საქირო თქვენი კამპანიებისთვის!.. ცრემლ მორეული ამბობს:

— კარგი, კარგი, დედიკო... ძია დათა და შენც, ძია ირაკლი! არ გიყვარდით? მაშორებთ აქაურობას? წავალ, მარა ბევრჯელ განატრებთ — ნეტავი, ამ წვეულებაში სერიოჟაც დაგვისვიაო.

თქვა სერიოჟამ გულის ჩათუთქვით და ოთახიდან გავიდა.

მზიარულ მზის ჟუჟუნა სხივები ხის ტოტებით ქარავადა ბაბოს თვალუწვდენ ეზოს; ჰიკიკებდნენ ჩიტები; დაბზოვდნენ ფუტკრები და ჰაერში მწიფე ხილის სუნნი გამდგარიყო.

სერიოჟამ წყაროს მიაშურა, ცივი, ანკარა წყლით ხელპირი დაიბანა, მერე დაასოლა ტილო და მთელ ნახევარ საათს იხელდა ლონიერ მკლავებს და მკერდს.

ასრულა თუ არა ეს ჩვეულება, სერიოჟა სახლისაკენ დაბრუნდა.

იქ, სასადილო ოთახში, მას ელოდა ერთი ქიქა რძის ნაღები, კაკაო და ცხელ-ცხელი ხაჭაპურები.

ნაშუადღევის ორ საათზე ბაბოს ოთახები სტუმრებით გაივსო. ესენი იყვენ ამავე სოფლის კნენა-კნაიყნები და დარბაისელი თავადი შვილები. შორიდან მოწვეულები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ: მატარებელი მხოლოდ ოთხის ნახევარზე მოვიდოდა. აქაურებში კი ვინც თვალსაჩინო იყო, ერთიც არ დაკლებია. მობძანდა თავადი ლევან აბდუშაპილი, ოდესღაც აუარებელი მამულისა და ფულის პატრონი, დღეს კი მეტათ შევიწროვებული, მარა საუცხოვო მომღვინი, მომღვრალი და ღვინის მსმელი, მოხუცი თავადი ქაიხოსრო, საშინელი ხუმარა, მისი მეუღლე კნენა ტერეზია, რომელზედაც უთქვამთ: სამარეშიაც კი ჩაყვება ეშხიანი, ცეცხლის თვალეზო. აქვე იყო გათქმული მოაშიყე ამირილონი, მუდამ ახალგაზდა და მოძიბლავი ქვრივი ლიუცია, კნაიყნა ვერა, ელიჩკა, მერი, ინსტიტუტიდან საზაფხულოთ დათხოვილი კატუტია, ბევრი კიდევ სხვა და, მათ შორის, ახალგაზდა ტიტკო, რომელიც ყოველ წლიურათ ღებულობს ხოლმე ლამაზ უღვაშებისათვის დანიშნულ პრიზს.

ბაბოს მდიდრულათ მორთულ ოთახში მზიარული ხმები გაისმა.

სუსტი, საოცარ ფუფუნებაში აღზდილი მერი, ნელის რხევით მიუახლოვდა როიალს, დაჯდა და დაუკრა. ტიტკომ გრძნობით დამღერა აკაკის:

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია,

ჩემო ჩანგო, ტკბილათ არ გიყდერია!..

ორჯელ თუ სამჯერ სერიოჟაც აამღერეს. სიმღერას მზიარული მუსიკა და სასაცილო ამბები მოყვა. ქაიხოსროც სწორეთ ამას უცთიდა — მოხსნა თავი ხუმრობის გუდას და ასტეხა კნენების კისკისი. დრო კი გადიოდა ტკბილათ და შეუმჩნევლათ.

Пріѣхали, пріѣхали!—

გაისმა ბაბოს წკრიალა ხმა.

შვენიერი სქესი ახმაურდა, აფუსფუსდა და ფანჯრებს მიაცვიდა.

ტრიალ ეზოში გამოჩნდა ხუთი, სტუმრებით საესე ეჭლი.

წითელ ბორბლებიან წინა ეტლში მხოლოდ ერთი თავადი იჯდა; შორიდანვე ეტყობოდა, საოცარი ტანადი უნდა ყოფილიყო, რადგან ეტლის კოფოზე მჯდარ მეეტლეზე მაღალი მოჩნდა. ეს იყო ვახტანგ ამირეჯიბი, მთელ საქართველოში ერთი უმდიდრესი მემამულე, შესანიშნავი თავის გარეგნობით: ოსების გმირ-ბაყათარს ამსგავსებდნენ. სულ უკანა ეტლში იჯდა ოთხი თოფ-იარაღში ჩასხმული ვაჟკაცი — ესენი გახლდნენ ვახტანგ ამირეჯიბის მცველი ინგუშები.

შუა ხაზი კი დაეკავებია სხვა თავიდიშვილების ეტლებს.

ივ. ი—ანი.

(შემდეგი იქნება).

გ ა ნ თ.

(მოთხრობა).

I.

სალამო ჟამი იყო. მზე უკვე გადახრილიყო და, ტურფა ასულივით, მორცხვით გადამოყურებდა დედა-მიწას. მკრთალი სხივებით ცელქათ ეაღერებოდა იგი აბიბინებულ მიდამოს და გრძნობით უკოცნიდა ხავერდოვან ლაწვებს. მთელი არე-მარე კეკლუცათ შეყურებდა მნათობს, თითქოს დასცინოდა, რომ კვლავინდებურათ მას ვერ წვავდა მზის ცხოველ მყოფელი სხივები.

ალაგორის არე-მარე მხატვრულათ გადაშლილიყო რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, ქალაქის განაპირათ. კვირა დღე იყო და საერთო გამოცოცხლება და მხიარულება სუფევდა: ვინ რკინის გზის ლიანდაგზე დასეირნობდა, ვინ იქვე მწვანით მოსილ მის ფერდობებზე გაშლილიყო და მხიარულათ ლაზ-ლანდარობდა. უფრო ხნიერები კი, რომელთაც ახალგაზღვრა ცეცხლი დროთა ბრუნ-

ვისგან უკვე ჩანელებოდა, სახლების აივანზე, თუ ეზოში მწვანეზე დამსხდარიყვენ და დარბაისლოური სჯა-ბაასით თავს ირობდნენ.

განსაკუთრებული მდებარეობა ქონდა მთელს ამ უბანში ქაიხოსრო ყუფარაძის ეზომიდამოს, რომელიც რკინის გზაზე გადასასვლელთან სერზე გაქიმულიყო და უბნის შვავული ადგილი ექირა. ლამაზათ შელესილ ერთ სართულიან ქვის სახლით, რომელსაც წინ კოხტა რიკულებით შემოვლებული ფართო აივანი ქონდა, და პატარა აბიბინებული ეზოთი, იგი მედიდურათ გადმოყურებდა იქაურობას და სიამოვნების ელფერს აძლევდა მთელ არე-მარეს.

ქაიხოსროს ორი, ერთიმეორეზე უშვენიერესი ქალიშვილები ხომ ამ ზოგადი სურათის გამაორკეცებელი იყო. უნდა გეყურებიათ, როცა ისინი სახლის წინ მწვანე მდელოზე დასხდებოდნენ და აგზნებული მელოდებით გიტარაზე ამღერდნენ. მათი — სმენის წარმტაცი სიმღერა ნარნარათ ეფინებოდა იქაურობას და ბეგრს გამვლელს გულს უტოკებდა. იქვე შორი-ახლოს მათი მოხუცი მამა, ქაიხოსრო იჯდა და უდარდელათ ბოლთასა სცემდა. დრო გამოშვებით თოვლივით თეთრ გრძელ წვერ-ულვაშებზე ხელს დაისობდა ხოლმე და სიყვარულით აღსავსე თვლებით შვილებს გადახედავდა. შუა-ხნის დედაკაცი კი, რომელიც ქალების დედა იყო, გვერდით უჯდა შვილებს და მათ ბანს ეუბნებოდა.

დიდებულ სურათს წარმოადგენდა ამ დროს მთელი ეს ჯგუფი, რომლიდანაც დიდნიკიერ მხატვარს შეეძლო ქემმართათ გულის წარმტაცი სურათი შეექმნა: „სიშვენიერის და სიყვარულის განსახიერება“.

— დედი! — შესწყვიტა უფროსმა დამ, ბაბომ სიმღერა და ჩაფიქრებული დედას მიუბრუნდა. — თურმე, გაიანეს, ჩვენს გაიანეს ძალათ ათხოვებენ იმ ვაჟარზე. რა საძაგლობაა, ღმერთმანი!.. არც კი ცხვენიათ!

— რატომ? რაა აქ საძაგლობა? გონჯი კაცია ისიდორე, თუ?

— გონჯი!.. გონჯია, აბა, რა ბედენაა!.. ღიპ-გადმოვდებული, ტარნების მოვაჟრე. საბრალო გაიანე!..

— ტარნების მოვაჭრე კი არა, შვენის-რი მალაზია აქვს, გოგო, გადაჭიმული! ჭკვიანი კაცია, ცხოვრებაში გამოცდილი... — აღარ დაათვა დედამ სიტყვები და მოკლეთ ქმარს გადახედა, რომელიც ამ დროს ძვირფასი ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა ხელში.

ქაიხოსრო და კესო შეუფერებელი ცოლ-ქმარი იყვნენ წლოვანებით; ერთის შეხედვით მამა და შვილი გეგონებოდათ. მარა მიუხედავით ამისა, ისინი ბედნიერათ ცხოვრობდნენ და ერთი-მეორეს ტრადიციული პატივისცემით ეპყრობოდნენ. მართალია, პირველ-ხანებში, თითქმის ბავში, თუთხმეტ-თექვსმეტის წლის კესო ძალიან უკმაყოფილო იყო თვისი ბედის, არ უნდოდა ქმრათ ბებერი კაცი, როგორც ეძახდა იგი ქაიხოსროს. ბევრი ცრემლიც დაღვარა დედ-მამის შეუმჩნეველათ, მარა თვის უკმაყოფილების გამოცხადებას, როგორ გაბედვდა: ეს ხომ მშობლების „თავზე გადახტომა“ იქნებოდა და მათი საქვეყნოთ შერცხვენა. მეტი, რა გზა ქონდა: მშობლებს ასე სურდა და ასედაც უნდა მომხდარიყო...

დრო და ჟამმა თვისი ქნა. კესო შეურიგდა თვის ბედს და, ბოლოს, მადლიერიც შეიქნა მისი. აბა, როგორ არ იქნებოდა ბედნიერი ასეთი ანგელოზივით ქალების დედა, რომლებზედაც ბევრ დიდებულ საცოლეს ემწევილ კაცებს რჩებოდა თვალი.

— კესოს გონებაში ელვის სისწრაფით გაირბინა მთელმა მისმა წარსულმა თვისი ცუდი და კარგი მხარეებით და მისი გული საყვარელი ქალისადმი თანაგრძნობით აივსო. მარა ეს თანაგრძნობა ისევ გულში დაიმარხა და ცივათ შენიშნა მას:

— თქვენ, ახალგაზდა ქალებს, თვალეში გაქვთ ჭკუა და გონება. გალახლანდარებული ბიჭები მოგწონთ, რომელთაც ორი კლასი გაუვლია, ჭურჭესა და გულვარდებში დაწანწალდებენ უსაქმურათ.

— ხო... აბა! — წყენით ჩაილაპარაკა ბაბომ, უკმაყოფილო თვალეებით დედას გადახედა და ნალვლიანი კოლოთი სიმღერა განაგძო:

„ყველაფერი კარგია,

„ჩემო ტურფავ, ლამაზო!

„შენთან ყოფნა — სიკვდილი,

„მოციმციმე — მალხაზო“.

დაათვა ბაბომ სიმღერა, გიტარა უმცროს დას გადასცა და თვითონ კი ეზოზე შამოვლებულ ფიცრულ ლოზეს მიადგა, რომ აქიდან უკეთ ეცქირა ლიანდაგზე მოსიერნე ხალხისთვის.

II.

ბაბო ჩაფიქრებული იდგა ერთ ადგილას და უგრძნობლათ გაიყურებოდა ლიანდაგისკენ, რომ უეცრათ მისი ყურათღება რაღაცამ მიიპყრო და გამოიყვანა გაურკვეველ მდგომარეობიდან. იგი სწრაფათ მიტრიალდა; პირისახეზე, რომელიც მეტის აღელვებისგან ძალზე გაუწითლდა, ხელები მოისვა, რომ მღელვარება დაეფარა და დედას სასიერნოთ გაშვება თხოვა.

— რა დროს გულაობაა! აქიდან უკეთესათ არ ხედავ ყველაფერს?! — ცივათ უპასუხა მას დედამ.

— აქედან კარგათ ვუყურებ, ხო!.. ყველა დასიერნობს და მე აქედან უნდა ვუყურო!..

— რას უშლი გავლას, ხომ არ დაიკარგება! — დინჯათ შენიშნა ცოლს ქაიხოსრომ და ლომობიერი თვალეებით ბაბოს გადახედა. — წადი, ბევრს ნუ დაიგვიანებ. პელოც წაიყვანე, — მოკლეთ უთხრა მან შვილს და ყალიონი მაგრათ მოსწია.

ბაბოს გავარვარებული პირისახე შარავანდელით შეიმოსა. მომხიბლავმა ღიმილმა ოდნავ შეუთამაშა ლალის ფერი ტუჩები, რომლიდანაც ბროლივით ნათელმა კბილებმა თოვლივით გამოანათა. გიშვრვივით შავი ეშმაკურათ მოელვარე თვალეები გაუბრწყინდნენ.

მან საჩქაროთ შეირბინა სახლში. სარკესთან დალალები გაისწორა, ერთიც შეტრიალდა, კეკლუცათ გაუღიმა თვის გამოხატულებას სარკეში და პელოს თანხლებით ეზოდან გადავიდა.

ბაბოს მღელვარება ეტყობოდა და, რომ სხვებს არ შეემჩნია მისთვის ეს მღელვარება, თავი ჩაედუნა და ისე მიაბიჯებდა. დრო-გამოშვებით უკან მიიხედავდა ხოლმე და ისევ ჩაედუნავდა თავს. ეტყობოდა ვიღაცას ელოდე-

ბოდა, ეძებდა.

— ბარიშნებს ვახლავარ! — მოესმა მათ ამ დროს უკანიდან საამური ხმა. ბაბო იმ წამსვე მოტრიალდა. მას ორი ფართო ყუყუნა თვალები გზნებით მისჩერებოდნენ.

— უი — მე, გიგლა!.. — მხიარულათ წამოიძახა პელომ და ბავშური ალტაცებით ორივე ხელები გაუწოდა მას.

— რა ნახეთ, ყმაწვილო, მთლათ რომ დაგვივიწყეთ! ასე უნდა განა?! — წყენით შენიშნა ბაბომ გიგლას, — პირველი მისალმების შემდეგ.

— ხო, მართლა; მე შენთან საქმე მქონდა და შენი ნახვა კი არ იქნა, — დაუმატა თავის მხრით პელომ.

— რა საქმე გქონდა? ხომ არ შეგყვარებია ვინმე და რჩევას მთხოვ, როგორც შენს ყოფილ მასწავლებელს — გაეხუმრა გიგლა მას.

— დეიწყე შენებურათ! სიყვარული კი არა, ყველაფერი დამავიწყა გრამატიკამ. არ იქნა და ვერაფერი ვერ გავუგე „გლაგოლს“. შენ კარგი ახსნა იცი და...

— კაია ერთი! გააკვირა შენმა გლაგოლმა საქმე! — გააწყვეტინა დას ბაბომ ლაპარაკი, რომელსაც სრულიათაც არ ეპიტნებოდ, ასეთ განყენებულ ჭაგანზე საუბარი.

— ბაბო აგერ არ გვყავს? მან შევნივრათ იცის გრამატიკა...

— რას მეციანი?! როდის ვიცოდი მე კარგათ გრამატიკა? ის კი არა, ჩემს დღეში კარგი ნიშანი არ მიმიღია ამაში. სულ „ღვოიკა და ღვოიკა სმინუსომ“ მქონდა.

— რა ვიცი! რუსულათ კარგათ კი ლაპარაკობდა...

— ლაპარაკი ხო... — თქვა ბაბომ და ეშმაკური ღიმილით გიგლას გადახედა.

გიგლა ფართატაძე ძლიერ დაახლოვებული იყო ქაიხოსროს ოჯახზე. იგი დიდი ხნის ნაცნობი იყო მათი და შინაურ კაცათ ითვლებოდა იქ. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ პელოს მაგრე რიგათ გაუხარდა გიგლას ნახვა. გაუხარდა, რასაკვირველია, ბაბოსაც, მარა ეს სიხარული იყო სულ სხვა გვარი სიხარული,

რომელსაც უფრო ღრმა საფუძველი ქონდა, ვიდრე უბრალო კეთილგანწყობილება.

დიდი ხანი არ იქნება მას შემდეგ, რაც გიგლამ სამოქალაქო სასწავლებლის კურსი დაასრულა. იგი ქაიხოსროს მეზობლათ ცხოვრობდა მოწაფეობის დროს, ერთ ხანს პატარა პელისაც კი ამზადებდა საქალეპო პროგიმნაზიაში შესასვლელათ და ყოველ საღამომით დადიოდა მათთან პელოსთვის გაკვეთილის მისაცემათ.

დაასრულა გიგლამ სწავლა ჩინებულათ და ის იყო სამიწათმზომლო სასწავლებელში შესასვლელათ მზადებას შეუდგა, რომ მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს. ერთ დილას, გაცხარებულ მეცადინეობაში რომ იყო გართული, მას ფოსტალიონი ეწვია და ჩააბარა ის საბედისწერო დეპეშა, რომელმაც მამის უეცარი სიკვდილის ამბავი აუწყა. თავზარდაცემული გიგლა იმ წამსვე გაეშურა სოფლისკენ, რომ უკანასკნელათ გამოშვილებოდა საყვარელ მამის ცხედარს.

მამის სიკვდილის შემდეგ, მთელი ოჯახი გიგლას დააწვა კისერზე: უფროსი ვაჟი იგი იყო და, აბა, სხვა ვინ იქნებოდა ოჯახის გამძღოლ-პატრონი.

მოკვდა მამა და მოკვდა ყოველივე მისი იმედები უკეთეს მერმისისკენ. ახლა მისი საზრუნავი მხოლოთ და მხოლოთ უდროოთ დაობლებული ოჯახი იყო და სწავლის გაგრძელებაზე ოცნებაც კი სასაცალო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ ყოფილიყო.

გიგლა ზამთრამდი სოფელში დარჩა; მიალაგა ჭირნახული და, შემდეგ, დაღლილ-დაქატული ქალაქს ესტუმრა. მარა ახლა სულ სხვა მიზნით; რომ სადმე ადგილი ეშოგვა და დაობლებულ ოჯახისთვის მამობა გაეწია.

ერთი-ორი თვე ცუდათ დადიოდა იგი და ნახევრათ მშვიერი უფერულათ აღამებდა დღეებს.

ბედმა მალე გაუღიმა მას. იმ ხანებში სახაზინო პალატაში გადამწერლის ადგილი გათავისუფლდა და ამ ადგილზე გიგლა ჩარიცხეს.

მეტის-მეტე მუყაითობა გამოიჩინა მან თვისი მოვალეობის ასრულებაში და მალეც

წაიწია წინ. სულ მოკლე ხანში მოხელეთ ჩარიცხეს იგი და პირველი ჩინიც უბოძეს.

ახლა გიგლა „სტოლონაჰალნიკის“ თანამდებობის ამსრულებელი არის და სახაზინო პალატაში დიდ ბობოლათ ითვლებოდა. ყველანი პატივისცემით ეპყრობა მას და ბევრი დარბაისელი ოჯახის კარები ღია არის მისთვის, განსაკუთრებით, სადაც ტურფა „ჩიტუნები“ საამურათ ჭიკჭიკობენ და ცდილობენ სხვა და სხვა მელოდებით მახეში გააბან „საკოლო“ ყმაწვილები.

III.

დრო მიდიოდა. გასათხოვარი ქალების და ნამეტურ კი მათი „მამაშების“ თილისმები მიხანს ვერ აღწევდნენ. გიგლა ყველასთან სასიამოვნო მოსაუბრე იყო, ყველასთან თამამი და მიმზიდველი ყმაწვილი. მარა მუდამ ორკოფი, როდესაც საკითხი გრძნობებს ეხებოდა. მისი გამჭირახი გონება და მხატვრული ენა თავბრუს ახვევდა ახალგაზდა ქალებს და ბრწყინვალე იმედებთან ერთათ გულის მღრღნელ გაურკვევლობაში ავდებდა.

მიზეზი ამისა ის იყო, რომ გიგლას გული დიდი ხანია, რაც სხვისთვის ძგერდა და ეს სხვა გახლდათ ქაიხოსრო ყუფარაძის ასული — ბაბო.

როგორც წინა თავში მქონდა მოხსენებული, გიგლა თითქმის ბავშობიდან იცნობდა ქაიხოსროს ოჯახობას. გრძნობიარე ბავშვის გული ადვილათ შეეთვისა ამ სიმპატიურ ადამიანებს და ისე შეიყვარა იგინი, როგორც თვისი ღვიძლი მშობლები.

განსაკუთრებით შავ-თვალ-წარბა, მუდამ მომდიმარე, ცქრილა ბაბო იპყრობდა მის ყურათღებას. ისეთ დღეს ვერ დააღამებდა გიგლა, რომ „ბაბოჩკა“ არ ენახა და მასთან ცელქობა-თამაშით გული არ ეჯერა.

ისინი ათასნაირ სათამაშოებს გამოიგონებდნენ ხოლმე. მოსწყინდებოდათ ეს — ბაბო წიგნს გამოარბენიებდა სახლიდან, დაჯდებოდნენ ხის ძირას ჩრდილში და ერთი კითხულობდა, მეორე ყურს უგდებდა. თუ ვერ გაიგებდნენ რაიმე სიტყვას, ან წინადადებას, მეორე დღეს მასწავლებელს აახსენებდნენ და,

ამრიგათ, ერთი მეორეს პირველობაში ეჯობებოდნენ. ხშირათ წამოწობოდნენ ტოტებ-გადაყვანილ ბეოლის ძირში და მოყვებოდნენ თავიანთ ბავშურ გულუბუყილო ოცნებას.

— მე რომ ჭიმნაზიას გავათავებ, — ეტყოდა ბაბო გიგლას, — უჩიტელნიცათ დავდგები და ისე შევიყვარებ უჩენიცებს, ისე კარგათ მოვეპყრობი რომ... ჩვენი უჩიტელნიცა სულ ილანძღება, ყვირის... მისი შიშით ყველაფერი გვაიწყდებოდა. დღეს ისე კარგათ ვიცოდი გაკვეთილი... ერთი უცაბედათ შემცდა, შემიყვარა მარია ივანოვნამ და... სულ გადამაიწყდა ყველაფერი... ბევრი ვიტირე...

— ჩვენც გვეყავს ერთი უჩიტელი, რომელიც მუდამ იგინება. ხშირათ კიდევაც გვეცემს, მარა რა უნდა ვქნათ: ჩვენი უფროსია და ხომ ვერაფერს ვეტყვი! — მოწყენილათ ეტყოდა მას გიგლა.

— იცი, გიგლა, რა გითხრა? რადგანაც შენც გყოლია გლახა უჩიტელი, მოდი, შენც გადადი სხვა კლასში და მეც გადავალ. უფუფე! რა კარგი იქნება, მარია ივანოვნას რომ მოვსორდები!..

— მე... ვერა, ბაბო. მამა ჩემი არ დამანებებს... შეძლება არ გვაქვს...

— რა შეძლება უნდა ამას! — ბავშური გულუბრყვილობით შენიშნავდა მას ბაბო.

— გოროდის კლასი აქ ერთის მეტი არაა და გიმნაზიაში-კი ბევრი ფულია საჭირო.

— მაშ, შენ გოროდის კლასს რომ გავათავებ, მერე აღარ ისწავლი?..

— მერე, თუ ქნა მამა ჩემმა უჩიტლის ინსტიტუტში შევალ, თუ არა და სოფლის უჩიტლათ წავალ. შეტს აღარ ვისწავლი.

— უი-მე, რა კარგია! შენ უჩიტელი, მე უჩიტელნიცა... ერთათ ვიქნებით, ხომ გიგლა?..

— ერთათ?! ერთათ აღარ ვიქნებით. შენ მაშინ გათხოვილი იქნები, სხვასთან იცხოვრებ და მე-კი აღარ გეყვარები. შენი ქმარი არ მომცემს ნებას შენთან ვიარო.

— ასე თუა, სულ არ გათხოვდები და მაშინ ხომ ვერაფერს დამიშლის შენთან ყოფნას?..

— მაშინ... არა...— და გახალისებული ბავშვები კვლავ წიგნის კითხვას, ან თამაშობას იწყებდნენ.

ასეთ მხიარულებაში და ცეცხლობაში ატარებდნენ ისინი დროს, სანამ კარგათ არ წამოიზარდნენ, როდესაც საზოგადოებრივი ეტიკეტის მიხედვით, იძულებული გახდნენ კრძალვით მოპყრობოდნენ ერთმანეთს. მარა ნორჩი ბავშვის გულში ერთხელვე გაღვივებული გრძნობის ჩაქრობა ძნელი შესაძლებელია; როგორც ხმელ-დაფოტგრილ კუნძუზე მოკიდებული ცეცხლი თანდათან ღვივდება და მეტის სიმძლავრით ლაზლაზებს, ისე გიგლას და ბაბოს გულში ერთხელვე ჩანერგილი უანგარო გრძნობა, რომელიც პირველათ უბრალო კეთილგანწყობილებაში გამოიხატებოდა, თან და თან ღვივდებოდა და ნამდვილი სიყვარულის სახით ისაღვურებდა მათ არსებაში. ისინი ახლა უკვე მოწიფულები იყვნენ და შეგნებულათ უყურებდნენ ამ საკითხს. გული სიყვარულით უფეთქდათ და აუწყებელი ბედნიერებით აღესილნი ერთმანეთის ტრფილლებაში ატარებდნენ სანეტარო დროს.

IV.

სწორეთ ასეთი დამოკიდებულება ქონდათ იმათ ერთმანეთ შორის, როდესაც ისინი ჩვენ გავიცანით.

ბაბო რკინის გზის ლიანდაგზე შემდგარიყო და სამური ღიმილით ნელა მიაბიჯებდა. გიგლა მხარ და მხარ მიყვებოდა მას და ტკბილათ ესაუბრებოდა.

— რომ იცოდე, ბაბო, ჩვენს ჯვარის წერას, რა რიგათ მოვაწყობ!. ისე უფერულათ კი არ ჩავატარებ, როგორც შენმა ნათლის შვილმა— გაიანემ.

— ისიღორემ ესეც რომ ქნა გასაკვირია. მისი ჭკუა-გონება ანგარიშით არის გატენილი. სულ იმაზე ფიქრობს, სად რა ივაქროს და რა მოივოს.

პირველათ... კარგი საზანდარი,— განაგრძო გიგლამ ოცნება— ფაიტონები, რასაკვირველია, სულ დარჩეულები, პადრუგა— შაფერები ხომ... თქმა აღარ უნდა ამას... მერე... მთელს ეზოს ილიუმიწაცობათ მოვრ-

თავ. ერთი სიტყვით, ისეთი ქორწილი იქნება, ისეთი, რომ ტოლიც არ იქნება!..

პადრუგები—ჩემი, შაფერები-კი შენი, თანახმა ხარ, გიგლა?

— „ბიურუმ ეფენდი!“ იყოს შენს სურვილზე. მხოლოთ, იცოდე, ანგელოზივით ნარნარი უნდა იყვეს იგინი და ფეროებივით გარს გვერტყან. ხო, მართლა, ბესარიონის ანეტა არ დაპატიყო პადრუგათ. რაღაც მეჯავრება ის გოგო.

— რატომ? ანეტა შეენიერი ბარიშნა არის!

— კი, მარა, რაღაც არ მიყვარს... მე და იგი წაკიდებული ვართ.— დაუმატა მან, ცოტა ხნის შემდეგ.

— რატომ ხართ წაკიდებული?— ცნობის მოყვარებით შეეკითხა მას ბაბო.

— ისე...

— არა ვცხვენია, გიგლა, მე მიმაღავ?.

— გეტყვი, თუ არ წაეჩხუბები.

— ღმერთმანი, არ წაეჩხუბები, რა მაქვს ანეტასთან გასარიგებელი!

— მაშ, კარგი! ყური დამიგდე: ერთს საღამოს ბაღში გამევიარე და გზაში ვადამეყარა იგი. თუმცა-ღა მე შენთან მომეჩქარებოდა, მარა, კარგი ამიდი იღვა, ხალხიც ბევრი იყო და, ცოტა ხანს გავისეირნებ-მეთქი, ვიფიქრე. ერთხანს, რაღაცებზე ვილაპარაკეთ და, ბოლოს, სხვათა შორის, სიყვარულზე ჩამომიგდო ანეტამ საუბარი. ისე მელაპარაკებოდა, თითქოს სიყვარულის ახსნა უნდოდა ჩემთვის. მარა ამისთვის მე საბაბს არ ვაძლევდი. მერე, რომ ვერაფერს ვახლა, შენ მოგიხსენა... ისე... არა საკადრისათ. მე გული მომივიდა, მაშინვე მოვშორდი და შენსკენ წამოვივდი.

— საძაგელი!..— გაბრაზებულათ წარმოთქვა ბაბომ.— იმან იცის, რაშიდაც არის საქმე და მისი ღვარძლიანი გული შურიით ივსება...

— შენ მაინც ჯვარის წერას ისე აქიანურებ, რომ...— ხმის კანკალით დაუმატა მან და თვალებზე ცხვირ-სახოცი მიიფარა. ეტყობოდა, რომ ტირიდა.— ჯერ ჩემი მშობლებისთვისაც კი არ ვითქვამს რამე ამის შესახებ. დროა, მე მგონი, თუ არ მატყუილებ!..

ბაბოს სიტყვებმა გიგლა ჩააფიქრა. მართალია, მას გადაწყვეტილი ქონდა ბაბოზე და-

ქორწინება, სხვა ცოლი, როგორც არა ერთ-ხელ უთქვამს მას ბაბოსთვის, მიწა იქნებოდა მისთვის, მარა, რაღაც მიზეზისა გამო, საქმეს არ ამოლოვებდა.

ეს მიზეზი, დიდი ხანია, რაც გიგლას აწუხებდა და ვერ გაებედნა მისი საბოლოოთ გადაქრა-გადალახვა. თუმცაღა გიგლა ვარგუნობით ზერელე ადამიანს წარმოადგენდა, მიუხედავათ ამისა დიდი დაკვირვებული იყო ცხოვრებაში და ყოველივე საკითხს პრაქტიკულ თვალსაზრისით სჭირდა. აბა, როგორ არ იქნებოდა დაკვირვებულა და პრაქტიკული კაცი, როდესაც ოჯახის ბურჯი იგი იყო და, როგორც ასეთი, მარტოთ მას აწვა კისერზე სარჩენათ წვრილი და-ქმანი, უდროოთ დაობლებული და საყვარელი დედა. ამასთან მტერი-მოყვარე, ათასნაირი გადასახადი, ყველაფრისთვის მას უნდა გაეწია ანგარიში, იგი იყო მზრუნავი და პასუხისმგებელი.

გიგლას კარგათ ქონდა ყოველივე ეს შეგნებული და ცდილობდა ისეთი ამხანაგი ემოვა, რომელსაც მისთვის ცხოვრებაში უღლის გაწევა შეეძლებოდა. მართალია, ბაბოსთან სულიერათ იყო იგი დაკავშირებული, განგებას თითქოს ერთმანეთისთვის გაეჩინა ეს ორი შეენიერი ახალგაზდები, მარა ბაბოს სწორეთ ასეთი ნაკლი ქონდა და გიგლა მუდამ დღე იმაზე ფიქრობდა, რომ გამოეჩინა ისეთი საშვალეობა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი შეესება. აი, ეს იყო მიზეზი, რომ გიგლას ბაბოს შეკითხვაზე პასუხის მიცემა გაუჭირდა.

— ბაბო, უნდა გამოგიტყდე და გითხრა ყველაფერი, დაიწყო მან დაბოლოს დაბეჯითებული კილოთი—ლაპარაკი. — მანამდე ზენ ჯვარს ვერ დავაწერთ, სანამ შენ „სწავლული“ ბებია არ გახდები.

— ბებია?!..

— დიახ, ბებია, შენ სხვაფერ არ ვადა-

თარგმნო ეს და იქვი არ შეგეპაროს ჩემს სიყვარულში. უმაღლვე დამწებული ნახე შენი გიგლა, მე ჩვენდა საკეთოდლეოთ ვამბობ, დამერწმუნე, ბაბო. შენ გონია დიდხანს ვაგრძელდება ორი წელიწადი?! სრულებით ვერ გეიგებ.

— კიდევ ორი წელიწადი!. არა, შენ არ გიყვარვარ მე. შენ... შენ... —მოწოლილმა ბოლმამ ნება არ მისცა ბაბოს სიტყვა დაეთავებია.

— ბაბო, არა გცხვენია? რას მელაპარაკები? შენ ამით სიციოცხლეს მიწამლაგ მე...

— აბა, ჯერ ჯვარი დავიწერთ და მერე... მერე, სადაც გინდა...

— მერე აღარ შეიძლება. ქმარი, შვილი, ცხოვრებაში გაითქიფები... არა, ბაბო, თუ ოდნავ გაქვს ჩემი სიყვარული, ამისრულე ამ თხოვნას.

დიდხანს ელაპარაკა გიგლა ბაბოს ამ საგანზე, სანამ არ დაარწმუნა იგი, რომ ეს ნამდვილი სწორი გზა იყო, რომელსაც მათთვის მუდმივი ბედნიერების მოტანა შეეძლო.

— მხოლოთ იმ პირობით, რომ შენ ხშირათ მინახულე. მე ვერ გავძლებ, ვერ ავიტან უშენობას...

— უეჭველათ, უეჭველათ, ჩემო ყველაფე, —ალერსიანათ ჩასჩურჩულა გიგლამ და მადლიერი თვალეები თვალეებში გაუყარა.

ამ დროს მათ პელოც შემოუერთდა. მზე უკვე ჩასულიყო და დღე და ღამე ეს ეს იყო იყრებოდა. ჩვენი გმირები შინაურობას კარგი მანძილით დაშორებოდა. ხალხი თანდათან იშლებოდა და რკინის გზის ლიანდაგი ცალიერდებოდა...

გ. კირალიძე.

(შემდეგა იქნება).

ჟურ. „განთიადის“ კანტორა

მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, რომელთაც სამი თვის ხვედრი ფული აქვთ გამოგზავნილი, შემოიტანონ პირველ აპრილამდე დანარჩენიც, თუ სურთ ჟურნალი მიიღონ შემდეგ თვეებშიაც.

მოაგონებს აგრეთვე წლიურ ხელისმომწერლებსაც, რომელთაც პირველათ ხელის მოწერის დროს გამოგზავნეს 2 მან. 60 კ., პირველ აპრილამდე შემოიტანონ მანათი.

ვთხოვთ, ვისაც ჟურნალის ნუმრები არ მიუღია, გვაცნობოს, რომ დაუყოვნებლივ მივაწოდოთ.

მრობა და ჩვენი საზოგადოება*).

იყო დრო, ოციოდე წლის წინათ, როცა ჩვენ საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობდნენ ერობის შემოღების თაობაზე. ყველას ესმოდა, რო ჩვენ სოფელს თვითმართველობა დიდს სარგებლობას მოუტანდა. ყველას კარგათახსოვდა, რო ჩვენში ქალაქებმა თვალსაჩინოთ გააუმჯობესეს თვისი მდგომარეობა, რაკი თვითმართველობა შემოიღეს. ყველას კარგათახსოვდა, რომ ერობამ სული ჩაუღდა ყველა მიყრუებულ რუსეთის სოფლებს. ერთბაშათ გაჩდა იქ სკოლები, საავათმყოფოები, აფთიაქები, გზები, ბანკები და სხვ. და სხვ. ერობის მომხრეებმა ჩვენში მიმართეს თავდაზნაურობას, რო მან საჭირო შეამდგომლობა იკისროს მთავრობასთან და ერობა თხოვოს მას. მართლაც, თავდაზნაურობმა, როგორც თფილისში, ისე ქუთაისშიაც იტვირთეს შეამდგომლობა. მარა მართებლობამ ყური არ ათხოვა ჩვენ კეთილშობილ წოდების სურვილს, და აქამდი მთელი კავკასია მოკლებულია იმ კეთილდღეობას, რომელიც ყველგან შემოაქვს თვითმართველობას.

მას შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე ჩვენ საზოგადოებას აღეძრა იმედი, რო მისი სურვილი დაკმაყოფილებული იქნებოდა. სხვა და სხვა საზოგადოებამ, ყრილობებმა (Съезды) იგივე თხოვეს მართებლობას. მარა ამას სასურველი ბოლო არა ქონდა. ამ ათის წლის წინათ, ჩვენში დაინიშნა მთავარმართებლათ გრაფი ვორონცოვი—დაშკოვი. მაშინვე მან გამოაცხადა თვისი თანაგრძნობა ერობისადმი. მოწვეულ იქნენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ხალხის წარმომადგენელნი, რო მათ გაერჩიათ, რა

ერობა იქნებოდა ჩვენთვის უფრო სასარგებლო. მაშინ ჩვენ ქვეყანაში არეულობა იყო და ყრილობები რიგზე ვერ წარმოებდნენ... მარა რამდენიმე წლის შემდეგ, 1909 წელს ხელახლათ მოწვეულ იქნენ მთავარმართებლის განკარგულებით, ისევე ადგილობრივი მოღვაწეები, ისევე ერობის თაობაზე მოსალაპარაკებლათ. ხელახლა ყველგან გაისმოდა ხმა, რო დროა ჩვენში შემოღებულიყო ერობა. თუ უკეთეს არ გვადირსებენო, ის წესდება მაინც შემოიღონ, რომელიც რუსეთში ამ ხანათ არსებობსო, ამბობდნენ ყველანი. მარა არც ახლა შესრულდა საზოგადოების სურვილი...

ამ ბოლო დროს კიდევ აღიძრა მწერლობაში ლაპარაკი კავკასიის ერობაზე. როცა ომი დაიწყო და ყველა დაიძრა, საგრძნობელი გახდა ურთიერთ შორის დაახლოვება და საზოგადო, საერთო ფიზიკური მოღვაწეობა. დაჭრილთ დახმარება, ჯარში გაყვანილთ სახლობაზე მზრუნველობა, დაქცეულ ოჯახობის აღდგენა და სხვ. და სხვ.—ყველა ამგების დიდი შემწეობის აღმოჩენა რუსეთში ერობამ იკისრა. მართებლობას ბევრი ზრუნვა ქონდა თვითონ ომის საზრუნველათ და, ამიტომ, მიენდო ერობას დიდი ფული და უფლება. ერობამ იკისრა ეს ძნელი საქმე და თვალსაჩინოთ გაჩარხა ხალხის დახმარება. მხოლოთ ჩვენში, თვითმართველობა რო არა გვექონდა, გულხელდაკრეფილნი ვიჯექით და ვწუხდით თვის უქმობით, სანამ ჩვენშიაც არ შემოყო თავი რუსეთის ერობამ. ყველამ თვისი თვალთ ნახა, რა დიდი საქმის მწარმოებელია ერობა, ყველამ გაიგო, რა საჭიროა ამგვარი თვითმართველობა...

ომი რო გათავდება, ჩვენის აზრით, ჩვენმა ხალხმა უნდა მოითხოვოს ხელახლათ ერობის შემოღება ჩვენს ქვეყანაში. მართებლობაც ამაზე უარს ვერ გვეტყვის, რადგანაც თითონაც ღარწ-

*) სიამოვნებით ვსტამბავთ ჩვენი ნიჭიერი ლიტერატორის სტატიას ქართველი დემოკრატიის წარმომადგენლების საყურადღებოთ.

მუნდა ომიანობის დროს, რა დიდი საქმის შესრულება შეუძლია ხალხის თვითმართველობას...

ჩვენ ახლავე უნდა მოვემზადოთ, შეამდგომლობა აღვიძრათ, რადგან ჩვენ ბევრითობაზე იქნება დამოკიდებული მომავალი დაწესებულების ბედი.

თუ ჩვენ ძლიერ სურვილს არ გამოვაცხადებთ, არც არავინ დაგვიგდება ყურს, არც თავს გაიტყვს ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ეს უნდა ახსოვდეს ჩვენს დებუტატებსაც სახელმწიფო სათათბიროში...

ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი აზრი ამ საქმის თაობაზე. ბევრისგან გაგვიგონია ასეთი მსჯელობა, რომ ერობა კარგი რამ არის, მარა სხვისთვის და არა ჩვენთვის. თავდა-აზნაურები გაიძახოდნენ ხშირათ: ჩვენგან აიღებს ხარკს და გლახობას დაეხმარებაო, გლახებისთვის გახსნის სკოლებს, დაიჭირავენ მკურნალებს, გაიყვანს გზებს და ჩვენ კი მხოლოდ ხარჯი უნდა გადავიხადოთ. გლახობის მომხრე ახალგაზღვრა კი გაიძახოდა: აწ არსებულ წესდების ძალით, ერობა თავდა-აზნაურობის ხელში იქნება და ჩვენ, რა შუაში ვართო, ისინი ჩაუდგებიან ერობას სათავეშიო და, აბა, იმათგან რა ხერი დაგვეყრებაო.

რუსეთის ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ ამგვარი შიში სრულებით უსაფუძვლოა. ერობა ყველასთვის სასარგებლოა. სოფელში ბევრი ისეთი საზოგადო, საერთო საქმეა, რომელიც ერთ უღელში შებაძმს თავადსაც, აზნაურსაც, გლახსაც, ღვდელსაც და ვაჭარსაც. სოფელში სკოლა, მკურნალი, ბეთალი, გზები, ბანკები ყველასთვის ძლიერ საჭიროა და სასარგებლოც. ეს ითქმის ჩვენ სოფელზე, სადაც თითქმის არავინ მდიდარი არ არის და ძნელათ გაარჩევ თავდა-აზნაურს გლახისგან.

თვით ის მწერლებიც კი, რომელ-

ნიც დიდს მნიშვნელობას აძლევენ სხვა და სხვა წოდების შეჯიბრებას (классовая борьба), დარწმუნდნენ, რომ რუსეთში ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ერობამ დიდი სარგებლობა მოუტანა ყველა წოდების ხალხს, რომელიც კი ცხოვრობდა სოფლებში. ჩვენს დემოკრატიას ვურჩევთ ამის შესახებ წაიკითხოს მეოთხე ტომი ბ. ვესელოვსკის შრომისა „История земства“, ან ამ დღეებში გამოსული წიგნი ვ. ტრაუტოვსკისა: „Современное земство“ (37 გვ.), ჟურნალ „სოვრემენიკის“ გამოცემა.

რასაკვირველია, ყოველ საზოგადო საქმეში შესაძლებელია სხვა და სხვა ინტერესების შეჯახება.

მარა ყოველ ომს ხომ შვიდობიანობაც მოყვება. ისე კლასობრივ ბრძოლას ინტერესების შეთანხმებაც უნდა მოყვეს, რადგან საზოგადოებრივი საქმე უამისოთ ვერ მორიგდება. ასე იყო ყველგან და ყოველთვის, და ჩვენშიაც, ჩვენის აზრით, ასე იქნება... მხოლოდ ჩვენის საერთო ცდით, საერთო გამრჯელობით შესაძლოა ერობის შემოღება. მართებლობაც ამის წინააღმდეგი არ იქნება, რადგანაც დადგა დრო, როგორც ამას რუსეთის მაგალითი გვიჩვენებს, — როცა ყველას კარგათ ესმის საზოგადოების და ხალხის თვითმართვის მნიშვნელობა.

ხალხის დაუხმარებლათ ახლა არც ერთი დიდი საქმე არ მოხერხდება...

მხოლოდ წვრილი ჩინოვნიკობისთვის სასარგებლოა ჩვენში ერობის უქონლობა. საერობო შემოსავალი, თითქმის 7 მილ. მანათი წელიწადში, ახლა ჩვენ ქვეყანაში (ამიერ კავკასიაში) ამ ჩინოვნიკების ხელშია. როგორც უნდათ, ისე ხარჯვენს.

რასაკვირველია, ისინი არ ეშურებიან, რომ ეს ფული საზოგადოებისთვის გადაცემული იყოს. რა თქმა უნდა, ისინი თვის ნებით ერობას არ მოგვცემენ.

მარა იმათ მადლა ხომ მართებლობა დგას. ამიტომაც, გვეონია, რო ჩვენში ინტელიგენციამ, ჩვენმა ხალხმა, თვის წარმომადგენლების პირით უნდა ითხოვოს სახელმწიფო სათათბიროში, რო ჩვენც ერობა გვარგუნონ, როგორც დიდხანი არ არის არგუნეს სტავროპოლის და ასტრახანის გუბერნიებს და სხვა ზოგიერთ განაპირა ადგილებსაც.

გ. თუშანიშვილი.

კრიტიკა და პიბლიცისტიკა.

(თხზულებანი არილ ჯორჯაძის. წიგნი მეორე. ჩვენი საზოგადოებრივობა. ფასი 80 კ.)

I.

ამ უკანასკნელ დროს განმავლობაში ერთი ფრიად ნიჭიერი და სიმპატიური მწერალი-მწიგნობარი შეეძინა ჩვენს ახალს ლიტერატურას, რომლის მოედანი კაი ხანია უიმედოთ იყო დაცლიერებული. მარა ამ მწერალს არ დაცალდა და უღმობელმა სიკვდილმა შარშანწინ უკმათ ხელიდან გამოგვტაცა სწორეთ იმ დროს, როცა ეს შეგნიერი ყვაილი თვისი სანეტაროთ განშლის წუთებში იყო... მე მოვახსენებთ პუბლიცისტის. არჩილ ჯორჯაძის შესახებ, რომელმაც ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა ათი-თორმეტი წელიწადია, მას შემდეგ და საპატიო ყურათღებაც მიიქცია თვისი ნაწერებით, რომელიც ცალკე წიგნებათაც დაისტამბა ამას წინათ.

სამწუხაროთ, პირველი წიგნი განსვენებულის პუბლიცისტისა, რომელიც ეროვნულ პრობლემას უტრიალებს ვარშემო, ხელთ არა მაქვს ამ ჟამათ და ვერაფერსაც ვიტყვი იმის შესახებ. რაც შეეხება მეორე წიგნს, იგი ფრიად საინტერესო საგანზეა დაწერილი, რომელშიაც ავტორს ჩვეულებრივთ ჩაუქსოვებია თვისი სათაყვანებელი სამშობლოს ღრმათ და ძლიერათ მოსიყვარულე გული, სინიდისიერის დაკვირვებით გაუჩომ-აუწონია ყოველივე ის,

რასაც ხელს კიდებს და გულის დამშვიდებით, როგორც შეფერის ძველი ალბანეთის შვილს, დინჯათ და ნათლათ მოუთხრობს მკითხველს დიდათ საინტერესო მომენტებს ქართული ახალი ლიტერატურისა და პუბლიცისტისას.

არჩილ ჯორჯაძის მეორე წიგნის საგანია ქართველთა საზოგადოებრივი აზროვნობის ისტორია და ამისთვის იგი შეხება ჩვენს ლიტერატურის ზოგიერთ მომენტების გათვალისწინებას და, შეძლების დაგვართ, მის დაფასებასაც. დიდი, განსაკუთრებულის ყურათღების ღირსია ავტორის ეს ნაშრომი იმიტომაც, რომ ქართველს მკითხველს ცოცხალის ქართულის ენით გონების თვალის წინ ფართეთ უშლის სამშობლო ქვეყნის უანგარო მოღვაწეთა სურათებს და ამით უღვიძებს და უცხოველებს მის გულში ლიტერატურის დიდს უანგარო სიყვარულს. ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საიმედო სტუდენტობა და მთლათ ასაკში და ცნობაში მოსული მოზარდი მოსწავლე ახალგაზდობა, დარწმუნებული ვარ, დაიტაცებდა ასეთს წიგნს და დიდს ესთეტიურს სიამოვნებასაც ვანიცილიდა მისი წაკითხვით. და მეც ვალდებული ვარ მეტი სიმპატიით მოვეპყრო ასეთს ნაშრომს.

ამ მეორე წიგნში ავტორს პირველ ფურცლებზედვე მოუქცევია თვისი საინტერესო სტატია: „მკითხმომცანის“ და „მკითხმომცდათმანის“, სადაც იგი საუბრობს „ტეტიათა მოტრფილეთა“ ჯგუფზე და იმ სოციალ-პოლიტიკურ პირობებზე, როცა მარქსიზმა იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაში. მხოლოთ ჩემში გაკვირვებას იწვევს ქართული ლიტერატურის ისტორიის ფილოსოფოსი, რომ იგი არა ხმარობს ქართულ ლიტერატურაში პირველათ ჩემ შამოტანილს ზედ გამოჭრილ სახელწოდებას, რომელიც, უკვე კაი ხანია, მიღებულია ლიტერატურაში და ჟურნალ „იმედის“ ჯგუფს „ნაროდნიკულს“ უწოდებს. გაზ. „კოლხიდაში“ ამას წინათ ისტამბებოდა ბ. ნიკო თავდგირიძის სტატია: „ჩვენი ახალთაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები“, სადაც იმასაც ნათქვამი აქვს, რომ „ტეტიათა

მოტრფიალენი უფრო მახვილათ ხატავს ჩვენებურათ რუსულ „ნაროდნიკობას“, ვიდრე უცხო სიტყვა. „Народничество“ იყო მთელი მოძღვრება, საფუძველი, რომელზედაც აშენებულია სხვა და სხვა მოწინავე დასთა ჯგუფების სისტემები, რომელნიც რუსეთის ისტორიაში სრულიათ განსხვავებულს, არა ევროპულს, გზას ხედვდნენ. ამ გზას გძელი ისტორია აქვს: იწყება მეთვრამეტე საუკუნეში და დადი უპირატესობა ეძლევა სლავიანოფილებისა და გერცენის ნაწერებშია. რუსეთის „ზაპაზნდნიკები“ იგივე „ნაროდნიკები“ იყვენ, მხოლოთ ევროპის ხმელეთის პოლიტიკური წესწყობილების მოტრფიალენი, შემხარებელნი. ამ საფუძველზე აშენდა რუსეთში ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, ლირიკა, ბელეტრისტიკა; ფილოსოფია და, ასე ვაშინჯეთ, სოციოლოგიაც... წმინდა რუსული სოციოლოგია, რომელიც, აქვე ვიტყვი ბარემ, ერთს უშველებელ სასაცილო რასმე წარმოადგენდა... აბა, ახლა ამას უნდა ამოვუყენოთ ჩვენ გვერდში ჩვენებური „ტეტიათა მოტრფიალენი“! განსვენებული არჩილიც სწორეთ ასე მოიქცა...

დღეს მაინც ისეთ ხანაში ვართ, რომ ჩვენი თავის გაცნობა, ჩვენი კულტურულ ვინაობის გარკვევა ფრიად და ფრიად საჭიროა, რომ ჩაუკვირდეთ ჩვენს ღრმა, დიად შეცდომებს, ჩვენს ქარაფშუტულ ცხოვრებას, რომელშიაც დავლიეთ დღენი ჩვენი, ჩვენს დაცემას და დაბეჩავენებას. მარა ჩვენი ლიტერატურის და ინტელიგენციის მიმართულებათა კლასიფიკაციის პრინციპს გზაკვალი აუჩვენია არჩილისთვის.

არჩილს უკვირს, რომ მკვლევარნი და პუბლიცისტნი ჩვენებურ დასთა გაჩენას იწყებენ გასული საუკუნის სამოციან წლებიდან? მაშ, ნეტავი, საიდან უნდა დაიწყონ? დასთა გაჩენა ჩვენშიაც გამოიწვია ცხოვრების ძირითადმა რეფორმამ—უმების გათავისუფლებამ. ამან აამლელვარა მთელი ჩვენი ცხოვრება, ააღორძინა ქართული ლიტერატურაც, ააღძრა ათასი საჭირობოროტო საკიოხები და საქმეები

და, აი ნიადაგი. სადაც და რომლის გარშემოც უნდა გაჩენილიყო სხვა და სხვა დასებიც. საქართველოში დაიწყო სრულიათ ახალი ცხოვრება და ეს ახალი ცხოვრება მოითხოვდა ახალს წარმომადგენლებს შრომისასაც და ახალი აღებ მიცემობისასაც. და ამ ორს ისტორიულ ფაქტორის ვითარების თანახმათ, უნდა გარკვეულიყო საზოგადო ხელ-სამძღვანელო აზრები, დასთა საზოგადო მოღვაწეობა მწერლობასა და ცხოვრებაშიაც.

„კვალის“ ჯგუფს განსვენებულმა გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა და ამან მაინც ძალიან არივ-ღარია საქმე.

პირველათ გიორგი წერეთლის სტატია რომ დაისტამბა, მეც გავკვირდი. იგი იმ ხანებში თფილისიდან ქუთაისს ეწვია და მე ვინახულე გიორგი სასტუმრო „СЪВЕРШИЯ ПОМЕРА“-ში, სადაც იყო ბინათ ჩამომხტარი. მე განვუცხადე ჩემი გაკვირვება და ვუთხარი მას, რომ ჩვენი, ე. ი., „კვალის“ ჯგუფი, თუ მაინცა და მაინც, მეოთხე დასათ უნდა მოიხსენიოს კაცმა, რადგან პირველი დასი ილია ქავჭავაძის—„საქართველოს მოამბის“ ჯგუფია, მეორე დასი—ნიკო ნიკოლაძის—„კრებულ-დროების“ ჯგუფი, მესამე—80-იან წლების „ტეტიათა მოტრფიალენი“ და მეოთხე დასია „კვალის“ ჯგუფი-მეთქი.

— არაო, მითხრა გიორგიმ. მე ლიტერატურის ისტორიასთან საქმე არა მაქვსო. მე სახეში მყავსო დღეინდელი დასებიო: ჩვენი დროის „იკურია“ წმინდა თავად-აზნაურობის (!) დასიაო არის კიდევ ახლა იაკობ გოგებაშვილის (თუმცა იმ დროს იმათი ორგანო მან ვერ დაასახელა) გლეხების მალმერთებელი, შენი „ტეტიათა მოტრფიალენი“ მეორე დასიაო და მესამე დასი ჩვენ ვართ—„კვალელეზბიო“. მე გაჩაუბდი; სიტყვა აღარ მითქვამს იმისთვის. ამ ლაპარაკის დროს ჩვენთან იყო „კვალის“ თანამშრომელი ბ. ყარბი, რომელიც, იმედია, დაჰიმოწმებს ამ სიტყვებს, თუ ახსოვს.

ამის შემდეგ, არ გასულა ბევრი ხანი, როდესაც გიორგი წერეთელმა, „კვალში“ დასტამბა ხელმოუწერელი სტატია, მგონია 1895წ.

საცა ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბის“ ხანაში იყო გუმა ნიზმის მქადაგებელი და „დროება-კრებულის“ ახალი სოციალ ეკონომიური მიმართულება იყო ბროგრესიული, განსხვავებული ფრაქციით. აი, ეს, სტატია ვადუთარგმნია თავიდან ბოლომდე განსვენებულ ალექსანდრე ხახანაშვილს თვის ფრიად საყურათღებო ნაშრომში*) და წყაროს ჩვენება დავიწყებია, რაც ყოველთვის შესაძლებელია ამ გვარ მუშაობის დროს. აი, სწორეთ ამას აუბნევია არჩილიც და ამბობს: „ასე რომ, ბ. ხახანაშვილის ანგარიშით, პირველ და მეორე დასს მესამოცე (უნდა იყოს-სამოციანი) წლების მოღვაწენი შეადგენდენ ხოლო შესამე დასს კეალის“ ჯგუფი“. ამ ჩემი შენიშვნის შემდეგ იმედია, გასაგები იქნება მკითხველისთვის, თუ საიდან მომდინარობს ალექსანდრე ხახანაშვილის წიგნის ძველი თაობის ორ დასათ გაყოფა და რომელი დრო ქონდა სხეში გიორგი წერეთელს, „კეალის“ ჯგუფს „მესამე დასი“ რომ უწოდა (საბუთიანია ეს სახელ წოდება, ოუ უსაბუთო, ეს სხვა საქმეა).

თუმცა გიორგი წერეთლის სტატიის ადრე, „კეალის“ დაარსებისთანვე 1893 წ. აბრილში ჩემ კრატიკულ სტატიებში: „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“, რომელსაც ვაკვრით არჩილიც ასახელებს, ვწერდი შემდეგს: „ქართველ ლიბერალების (სამოციან წლების მოღვაწეებს ვუწოდებ ლიბერალები) საზოგადო აზრების განხილვის დროს არ არის მისაღები

მარტონიკონიკოლადის შეხედულება საზოგადო-ეკონომიური ვითარების შესახებ. ქართველთა ლიბერალების აზრის წინააღმდეგია, თუ არა ვცდები, იმისი აზრი ამ საგანზე. ის ნამდვილს მოქალაქეთა, მრეწველობის დაცვას უფრო ემსახურებოდა და ეს არის, ჩემი აზრით, უმთავრესი მუხლი, რომელზედაც დაისახა ნიკონიკოლადის წინააღმდეგ კამათობა ჩვენებურ და რუსეთის ლიბერალთა შორის, როგორც მაგალითათ, ნ. შეღვუნოვისა. ჩვენ იმდენათ ფრიად საყურათღებოთ მიგვაჩნია ნიკონიკოლადის აზრი ამ საგანზე, რომ განზახვა ვაკვს განსაკუთრებული წერილიც ვუქღვნათ მის მოღვაწეობას და იმ აზრსაც მაშინ გავარკვევთ“.

ნიკონიკოლადემ ჟურნალ „მოამბეში“ 1894 წ., თუ 1895 წ., ახლა კარგათ არ მახსოვს, დასტამბა თვისი დიდათ საყურათღებო სტატია, სადაც ეხებოდა ჩვენში მრეწველთა კლასის გაჩენის და აღორძინების დიდ საქიროებას, და მეც ამ სტატიამ აღმიძრა სურვალა გამოიმეოქვა ჩემი შეხედულება ნიკონიკოლიძეზე „კეალის“ ფურცლებზე.

არჩილ ჯორჯაძესაც აქვს ამ მეორე წიგნში ცალკე სტატია ნიკონიკოლადეზე, რომელზედაც ამ ჩემი სტატიის დასასრულს გამოვთქვ მ კიდევ ჩემს შენიშვნებს. აქ კი დავუბრუნდები მის პირველ სტატიას.

ამგვართ, თუ დავადგებით ისტორიულ გზას, იკი მიუკრებლათ, მივეყუანს იმ დასკვნამდი, რომ მესამე დასს უნდა ვუწოდოთ მეოთხე დასი და ამ საქმეში არეც-დარეკას უნდა ბოლოც მოეღოს აწი მაინც.

II.

განსვენებულ არჩილ ჯორაძეს ამ მეორე წიგნის პირველ სტატიაში ვაკვრით აქვს ჩემზე ნათქვამი შემდეგი: „გ. წერილის გვერდით, თანდათან, ჩნდებიან სხვა მწერლებიც, რომელთაც შეაქვთ მწერლობაში ახალი მოტივები სოციალურ ცხოვრების განსამარტავად. ამ მხრივ საყურათღებოა რამდენიმე ბ. ხომლელის წერილები, რომელიც სალიტერატურო ისტორიის კრიტიკოსათ გამოდის „კეალის“

*) იხ. А. Хахановъ.—Очерки по исторіи Грузинской словестности. ამ ნაშრომში ჩემი კრიტიკული სტატიები ბევრგან აქვს ნაჩვენები განსვენებულს პრაფესორს და ერთ ალაგას მისაყვედურებს, თუ უფრო მისწორებს, რომ იოსებ დავითაშვილს „ძმობის და ერთობის“ პოეტი უწოდა ხომლეღმაო. ეს მე კი არ მიწოდებია ასე. ამ სახელწოდებით მონათლა იოსებ დავითაშვილი განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ და მე დაცინვით დავარქვი დავითაშვილზე დაწერილს ჩემ კრიტიკულს სტატიას საოაური „ძმობის და ერთობის პოეტი“, რომელიც ბრჭალებშიაც ჩასმული მაქვს. ასე რომ, აქ უნებური შეცდომა მოსვლია განსვენებულს პრაფესორს აჩქარებული ლიტერატურული შრომის დროს, ავტ.

ფურცლებზე. ბ. ხომლეღს, სხვათა შორის, არაფრათ მიაჩნია ის საზოგადოებრივი მოძრაობა, „ნაროდნიკობა“, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინა წერილებში“... მერე ჩემი სტატიიდან მოაქვს ციტატა და ასე ამბობს: „ასე რომ ბ. ხომლეღი ოთხმოცდა ათ წლამდე ჩვენს ცხოვრებაში არავითარ ახალ მოძრაობას არა ხედავს“. ოთხმოცდა ათ წლამდეო, რომ წერს, ალბათ, კორექტურული შეცდომა თუ არის, თვარა, როგორ მოხდა, რომ ბ. არჩილ ჯორჯაძემ ჩემი სტატიები წაიკითხა და დაავიწყდა ის, რასაც ვამბობდი ქართველ ლიბერალებზე: „ამ რიგათ, დავსაკვენი მე ჩემი სტატია ლიბერალებზე, დიდი ფას-დაუდებელი სამსახური გაუწია ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ქართულმა ლიტერატურამ ჩვენს ქვეყანას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეკონომიური ვითარების შესახებ იმ ლოლიკურს წინამდებობას, დაუკვირვებლობას, რომელიც უნებურათ მოუვიდათ მაშინდელს მოღვაწეებს, ჩვენ დავინახავთ შემდეგს სანუგეშო სურათს. ძველი ცხოვრების შერყვევისთანვე, ქართველმა ერმა შესძლო და წამოაყენა, თავის საჭიროების დაგვარათ, შესაფერი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც აყვენ ახალს, ფეხ აღგმულს ცხოვრებას, მასში ღრმად ჩაიხედეს და თან-და-თან, ნელ ნელა შექნეს შინაარსიანი ლიტერატურა, დიდათ საყურათღებო თავისებური ხასიათი დააჩინეს ლირიკულს პოეზიას, შეამუშავეს სამეცნიერო, მოწიფულა ლიტერატურის შესაფერი საუბარი, მოფინეს ქვეყანას ნათელი და პატიოსანი აზრები და, რაც ყველაზე უფრო საყურათღებოა, თუმცა სუსტათ, მარა მაინც დასახეს პროგრამა სამოქალაქო დედა აზრები სა და მოღვაწეობისა“...

ამ სიტყვების შემდეგ, ახალ მოძრაობას მე, თუ არა ვხედავ ჩვენს ცხოვრებაში, აბა, სხვა ვინ უნდა ხედავდეს, აღარ მესმის. ლიბერალების ღვაწლი დიდი ღვაწლია ქართველთათვის და ამის მსგავსი ჯერ არაფერი მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში. თუ რამე კია ჩვენში გაკეთებული, იმათი მეოხებით არის გაკეთებული. ჩვენ მხოლოდ ვაგრძელებთ და ვა-

წარმოვებთ იმათ დაწყებულ და გაკეთებულ საქმეებს და ახალი რამ მათსავით არაფერი გავიკეთებია ჯერ ჯერობით.

„არავითარი ახალი თაობა არ იცის ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ“ მეთქი, რომ ვამბობ იმ წერილში. ეს ძველი თაობის, ე. ი., ლიბერალების ღვაწლის უარის ყოფა კი არ არის, არი-მედ „ტეტიათა მოტრფიალეთა“, რომელთაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში „ახალ-თაობას“ ეძახდენ ისეთ ყმაწვილიკაცებს, რომელნიც უარს ყოფდენ გავეროპელებას, ხელოვნებას, მეცნიერებას, მრეწველობას, ახალ ახალ მანქანებს და იარაღებს, დიდ დიდ საერო სიმდიდრეს და მალალ კულტურას. სამაგიეროთ მიეყავდით, იციოთ, სად? სოფლად, ტეტებთან, რომ იქ იმათგან გვესწავლა ქკუა და გემწყესა ლორები და ცხვრები...“

ასეთს ყმაწვილებს მე თაობას ვერ ვუწოდებდი, რადგან თაობა სულ სხვანაირათ მესმის და განმარტებულიც მაქვს იმ წერილში ეს სიტყვაც სწორეთ ისე, როგორც უნდა გვესმოდეს და წარა-მართ, უგანაჩენოდ არა ვხზარობდეთ მას.

„ტეტიათა მოტრფიალენი“ იყვენ წმინდა წლის რეაქციონერნი, შედარებით, 60-იან წლების ლიბერალებთან და ნიკო ნიკოლაძის ჯგუფთანაც ხომ, რასაკვირველია. ისინი სულ უკან, წყვდიადისკენ ეწეოდენ ჩვენ ცხოვრებას სოფელში მიპატიყებით, რადგან არა სწამდათ ეკონომიურათ გაწაღდული ევროპული გზა, ევროპულ პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე სჯა-ბაას გულ-ლიად დასცინოდენ, „ჩვენ რა გვედარვინ ბოკლებო“, ე. ი., რად გვინდა მეცნიერებაო, როცა კუჭი შიმშილით გვეწვი-სო და სხვა, რაც მე უკვე დავამტკიცე ჩემს სტატიაში, და ეს აზრი ჰირველათ მე გავარკვიე ქართულს ლიტერატურაში, რაზედაც უნდა შეეჩერებია მკითხველის ყურათღება ბ. არჩილ ჯორჯაძეს. მარა, რადაც მიზეზისა გამო, ეს მას არ უნებებია და ტეტიათა მოტრფიალეთა „ნაშრომებში“ ეძიებს ახალს გზას, რომელსაც დაკავშირებია XX საუკუნის დასაწყისის გამოსული ახალი დასი. იქნება მას

სახეში ის დასი ყავს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის? მე ეს არა მჯერა. მარა, თუ ეს ასეა, მაშ, შორს წასულა ეს დასიც სოციალურ კთხვების გადაწყვეტაში და გზა დაგვილოცნა იმისთვისაც...

ადვილად შესაძლებელია, ბ. არჩილ ჯორჯაძე, როგორც კეთილი, სათნო და პატიოსანი გულის პატრონი, „ტეტიათა მტრფიალეთა“ აშკარა დემოკრატიზმამ მოხიბლა და, სწორეთ ამიტომაც, იგი უკავშირდებოდა იმათთვის დასს*)? მარა გავკადნიერდები და აქვე მოვახსენებ მის მეგობრებს, რომ იმ ჯგუფის დემოკრატიზმამ მე ირა მწამს, რომელი ჯგუფიც, გინდა პოლიტიკური პარტია დროთა ბრუნვას არ მიყვება, უარყოფს ევროპულ აზრთა გავითარებას, კაცობრიობის წინსვლელობის პროცესს არ უწევს ანგარიშს დიდის ღვიძარებით და ენერგიით, ქვეყნის შინაური ცხოვრების ტრიალს არ უთანხმებს პროგრესიულ ვითარების გარდაქმნას. იმისი დემოკრატიზმამ, ქეშმარიტათ, ფრიად საშიშარია და დიდ უბედურებასაც უქადის ქვეყანას ამისთანა დემოკრატიზმამ...

განსვენებული არჩილ ჯორჯაძე წერს: „ბ. ხომლეღის აზრით, ახალი თაობა მხოლოდ მის დროში გაჩენილა“ და ჩემი სტატიდან მოაქვს ციტატა, საიდანაც სრულებითაც არა ჩანს ის, რომ ვიჯილმაც „ახალი თაობა ჩემს დროში“ გაჩენილიყოს. მოტანილი ციტატიდან მხოლოდ ის მტკიცდება, რომ ჩემს სტატიაში დასახელებული მიზეზების წყალობით, ეკონომიური ყოფა ჩვენი ერისა სრულიათ შეიცვალა, წინ წავიდა და საქართველოში, ვისაც კი აჩნდა სიცოცხლისა, სიფხიზლისა და ნიჭის ნასახი, ყველა „გავეროპელების“ გზას დაადგა მეთქი. მარა, დამეთანხმებით, რომ ეს კიდევ არ ნიშ-

*) განსვენებული არჩილ ვერ იყო ორგინალური, დამოუკიდებელი მწერალი. იგი გაიტაცა ჯერ რუსეთის „მუჟიკთა“ სექტანტობამ, მერე ტალსტოის მისტიკურმა მოძღვრებამ. ბოლოს, ლონდონში ჩვენი ცნობილი ნიჭიერი მოღვაწის და მწერლის ვარლამ ჩერქეზიშვილის სოფლ-მხელეველობას დაემქვემდებარა სრულათ და საბირკველიც ჩაუყარა „საქართველოს“ რედაქციას პარიზში.

ნავს ახალთაობის გაჩენას ლიტერატურაში, რომელიც არის საგანი იმ ჩემი წერილებისა.

მე ჩემს წერილებში, მგონი, გარკვევითაც მაქვს ნათქვამი, თუ რას ვეძახი თაობას. ძველი თაობა, ე. ი., ჩვენი ქვეყნის ლიბერალიზმამ წარმოადგენდა ევროპის დიდთ განათლებულს და დაბრძენებულს ლიბერალითა საპოლიტიკო პროგრამის სახეს. მარა უარს ყოფდა ევროპის ეკონომიურს ვითარებას და თავიანთი წარმტაცი პროზისა, თუ ლექსითა საშვავლებით სოფლელოთა ცხოვრებას გვიხატავდა და იქაურს შესაკუთრეთა სადა ყოფას შეხაროდა*).

ერთად ერთმა ნიკო ნიკოლაძემ შეიგნო ჩვენი ქვეყნის დიდი საამდროვო მოთხოვნილება, აყვა დროთა ბრუნვას, ჩვენშიაც და რუსეთშიაც დაიწყა მეტათ გაბედული ქადაგება, რომ ქვეყანა, მიუცილებლათ, ეკონომიურადაც უნდა გავეროპელდესო და ამისთვის იდევენბოდა იგი ჩვენშიაც და რუსეთშიაც ასე დაუზოგველათ და უმოწყალოთაც... თითქმის ყველა დასებისგან...

შემდეგი დასი „ტეტიათა მტრფიალენი“ იყვენ. მარა ესენი, როგორც მოგახსენეთ, უარს ყოფდენ ჩვენი ქვეყნის გავეროპელებას პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც. შემდეგ კი დასები, იცოცხლეთ, ქამა სოკოსავით გაჩდენ და მოედვენ ჩვენს გასაწყლებულს ქვეყანას. მარა ამათ ქართული ნორჩი ლიტერატურა გაამდიდრეს კი არა, სულერთიანა წალეკეს ისე, როგორც სოფლათ გლეხებმა ცეცხლს მისცეს წვითა და დაგვით აშენებული სკოლები ერთ დროს...

მარა ეს ხომ, ასეწოდებული, „ერთობის“, დრო გახლავთ და მე-კი გულდამწვარი დღესაც ახალთაობას მესიასავით მოველი, რომელიც ლიტერატურაში მხურვალეთ მოითხოვს სრულს და ქეშმარიტს ევროპულ მაქლასქობრივს და თანასწარობის იდეის გახორციელებას, და ამას იგი გულწრფელათ დაუწყებს სა-

*) ბ-ნმა პეტრე გელგიშვილმა სრულებითაც ვერ გაიგო ილიას ფილოსოფია.

მსახურს ქვეყნის და ერის სახსნელათ და სადღეგრძელოთ.

III.

ამ მეორე წიგნში აქვს არჩილ ჯორჯაძეს მოთავსებული ნიჭიერათ დაწერილი სტატია „პუბლიცისტი ილია ქავჭავაძე“, რომელიც, როგორც თვით ავტორიც ამბობს, „არ გვაძლევს სრულ სურათს ილ. ქავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობისას“, მარა მაინც რამდენიმეთ შუქს ფენს მის საზოგადოებრივს, პუბლიცისტურს მოღვაწეობას და ახასიათებს მას თითქმის სინამდვილითაჲ.

სამოციან წლების ლიბერალთა უნიჭიერესა ბელადმა—ილია ქავჭავაძემ 1877 წ. „დროების“ № 27-ში დასტავა თვისი ფრიათ საყურადღებო სტატია: „სად არის ქართველი და ქართველობა?“, რომლის ბადალი ეროვნულ საქმეთა შესახებ დაწერილი ძვირათ შეგვხვდრია ჩვენს ლიტერატურაში. არჩილს ამ სტატიიდან მოაქვს ციტატები და სამართლიანათ წერს: „აქ ავტორი თითქმის იმდენათვე ძლიერია, როგორცაა ის თვის ხელოვნურს ნაწარმოებში. და ვკითხულობთ რა ამ გულწრფელ, გულის სიღრმიდან გამომნახქვეს სიტყვებს, ჩვენდა უნებლიეთ გვაგონდება „გლახის ნაამბობში“ დაწერილი სამი სტრიქონი, რომელიც ჩვენს მოვალეობას სამშობლოსადმი გვაცნობებენ: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნის არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოღოს, ვარსკვლავები მაშინ არ ჩანანო“..

ეროვნული პროგრამა, ილიას მიერ შემუშავებული ქართულს ლიტერატურაში, უცვლელათ მიღებული აქვს არჩილ ჯორჯაძეს. ხოლო, რაც შეეხება ეკონომიურს პროგრამას ილია ქავჭავაძისას, იგი ამაში არ ეთანხმება ილიას და ამბობს: „ღმთავრესი საგანი ჩვენი უთანხმოებისა ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან გონია, რომ ამ წყობილების დაურღვეველათ შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონი, რომ საერთო კეთილდღეობა მოი-

თხვეს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შრომაზე იქნება დამყარებული და ამისთვის, რაც უფრო მალე დაირღვევა ჩვენებური წოდებრივ ურთიერთობაზე აშენებული საზოგადოებრივ აგებულება, იმდენათ მეტს მოიგებს ჩვენი ხალხი და ჩვენს ეროვნებასაც უფრო მკვადრი, შეურყეველი ნიადაგი ექნება საფუძვლათ“...

ერთხელ, მახსოვს, სასწავლებელში მიღებული ვიყავი, თუ არა, კარგათ ვერ მომიგონებია ახლა, რომ სინამდვილით მოკახსენოთ, მამა ჩემმა ხონის სანახავათ წამიყვანა. შვენიერი ივნისის დღე იყო და ხონის ბაზარში მისეირნობდენ ერთათ მამა ჩემი და ხონის საკრებულო ტაძრის მოძღვარი ვასილ ქუთათელაძე. მე იმათ უკან მივყვებოლა. ამ დროს ელვის სისწრაფით ჩამოიქროლა ვიღაც უცხო ელვარე ადამიანმა, რომელსაც მოძღვრებმა გზა უთავაზეს და ვასილმა სალამიც მიუძღვნა მას.

— სპირიტონ! მიუბრუნდა მამა ჩემს ვასილ ქუთათელაძე. აი, ჩვენი ნიკო ნიკოლაძე ეს არის, რომ ამბობენ. მე გული დამწყდა, რომ უქნობს ვერ შევხედე კარგათ. მარა ვასილ ქუთათელაძის სიტყვებს დიდხანს გაქონდა ბეუილი ჩემს ყურებში და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ვინ იყო ეს „ნიკო ნიკოლაძე“, კაცი, რომლის მზგავსი მე არ მენახა ჩემს დღეში ქუთაისშიაც...

ეს ის დრო იყო, როცა ნიკო ნიკოლაძე „კრებულ-დროებას“ მეთაურობდა და მკითხველ საზოგადოებაშიაც დიდი სახელი ქონდა გავარდნილი.

ახლა იმ დროის მეთაურ მწერალ ნიკო ნიკოლაძეს ამავე მეორე ტომში არჩილ ჯორჯაძეს მოუთავსებია თვისი დაუსრულებელი წერილი.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ერთი უდიდესი მნიშვნელობის საგანია ქართველი მწერლისთვის, რომელსაც ანტერესებს ახალგაზდა საქართველოს აღორძინებას ისტორია და თავგადასავალი.

ამ მწერლის დასაფასებლათ საჭიროა მიმართოთ, არათუ იმ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც უწერია ნიკო ნიკოლაძეს თვისი სტატიები. უნდა გადაათვალიეროთ აგრეთვე ფრანგული ჟურნალ-გაზეთები, ჰერცენის „კოლოკოლი“, სადაც სტატიებს წერდა ჩვენი თანაშემამულე. ამავე დროს იგი რედაქტორობდა და სტამბავდა საზღვარგარეთსაკუთარს ორგანოსაც რუსულენაზე „Современности“. იგი მუშაობდა „Отечест. Зап.“ ნ. მიხაილოვსკის დროს, „Былое“-შიც და სხვა სატახტო ქალაქის ორგანოებში. ჩვენს საქართველოში იმისი სტატიები „Кавказск. Вѣст.“-ში, იმისი საკუთარი „Обзоръ“ და „Новое Обозрѣнiе“ ხომ ყველა ინტელიგენტმა იცის. ერთი სიტყვით, აუარებელი მასალაა გადასათვალისწინებელი, რომ ამ კაცის ღვაწლი სავსებით და ნათლათ გაითვალისწინოს მკითხველმა. ამას არჩილიც გრძნობს და სამართლიანათ ამბობს, რომ ყველა ამ მასალის შეგროვება შეტათ მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიცა ამ ჟამათ“. აბა, ახლანდელი „ბუმბერაზები“ ამოდენა სალიტერატურო შრომას, როგორ გაართმევენ თავს, ისიც ერთის კაცის დასაფასებლათ!..

ჩვენ ამაშია არ ვეთანხმებით ნეტარხსენებულს ნიკიერ პუბლიცისტს. რუსეთში ახლა ისეთი დროა, რომ შეიძლეს გამოცემა ნ. ჩერნიშევსკის, ჰერცენის და სხვების ნაწერებისაც და ნიკო ნიკოლაძის ნაწერების შეგროვება და გამოცემაც არ უნდა შეადგენდეს „მოუხერხებელსა და შეუძლებელს“ საქმეს. ჩვენ, პირადათ, ნამდვილის წყაროებიდან ვიცით, რომ თვით ნიკო იაკობსძე, მოუცლელიობის გამო, ამ საქმეს ვერ მოკიდებს ხელს და ისე კი სხვა, გარეშე პირს, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ვერ მოუხერხებია ეს დიდი და სანაქებო საქმე და რატომ, მერე?

იმიტომ, რომ ჩვენი ყოველდღიური პრესა საქმის გასაკეთებლათ ქართველს არ იწვევს, არ ამხნევებს. იგი მზა-მზარეულ ლოზუნგების ღეჭვას, ურთიერთშორის ამტყდარ პოლიმიკას უნდებდა...

თქვენ, უეპველია, გახსოვთ უკვდავი შჩედრინის სატირა, რომ ქალაქ გლუპოვის ოლქის სისამართლოში დაწესებული იყო ჩვეულება — არაფერი საქმე არ განეხილათ, არამედ შეკრებილიყვენ მხოლოდ და მარტო კანონების საკითხავთ. აი, სწორეთ ასეა ჩვენშიაც. საქმე, საქმიანობა კი არავის აინტერესებს. მხოლოდ გაზეთები გამოსცენ, შიგ ავციობა გამართონ, ერთმანეთი გამოლანძღონ და დაამცირონ, წუთიერი, უნიადაგო სურვილები გამოაცხადონ და ილაზღანდარონ. აი, ეს მიანჩიათ ჩვენებურ „გაზეთიკებს“, ჟურნალისტის დიდ საქმეთ... ასეა, თუ ისე, ჩვენ, მადლობა ღმერთს, ილია და აკაკი ჯერ არ დაგვიწყებია. მარა, რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძეს, ახლანდელი „პარტიების“ მეოხებით, ვინ გინდათ, ვის ინატრებთ, რომ არა ლანძღავდეს მას, თვარა პირუთენელ, მიუღდომელ განსჯას ვინდა ჩივის...

ამიტომ განსვენებული არჩილ ჯორჯაძის სტატია ნიკო ნიკოლაძეზე, რომელიც მხოლოდ ნაწყვეტია და მეტი არაფერი, მაინც სასიამოვნო მოვლინებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში. ნიკო ნიკოლაძე, მიუცილებლათ, ჩვენი განახლებული ლიტერატურის და გონების მოძრაობის, ერთი უნიკიერესი, თითქმის გენიო. (ი. მესვეურთაგანა*)). ქართველებს გარდა, იმის მაღლიან კალმის ნაწარმოებს ყავს ურიცხვი მკითხველი სომეხთა, რუსთა და უცხოთა შორის, რომელნიც დიდი სიყვარულითა და აღტაცებით მოიგანებენ ხოლმე ამ კაცის სახელს, და საქართველოსთვის თავდადებულს მოღვაწეობას. რაც უნდა მკაცრის კრიტიკით შეხედონ მის საპუბლიცისტო ლიტერატურის სარბიელზე გასაოცარს მოღვაწეობას, ნიკო ნიკოლაძე, ვითარცა დიადი მღვლეარე სულის და ძლიერი, მდიდარი ენტუზიაზმით აღსავსე პუბლიცისტის სახელი მაინც უკვდავი ღარჩება მაღლიერი ქართველთა ერის ხსოვნაში. ნიკო ნიკოლაძე ეკუთვნის დიადი, რთულ ბუნებოვან პირ-

*) ამ ნუმერში უნდა მოგვეთავსებინა პორტრეთი ბატ. ნიკო ნიკოლაძის, მარა ვერ მოხერხდა, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო. რედ.

თა კათეგორიას დაიგი, ვითარცა ასეთი, ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულია დიადი, ძლიერი შემოქმედებითი, სამხატვრო, ცოცხალი ტალანტით, რომლის უტყუარი ნიშანი, სხვათა შორის, არის იმისი ქართული საპუბლიცისტო მანერა წერისა, ბასრი, სამართებელსავით მკრედი ტალანტი „კრებულ-დროება“, „შრომასა“ და „მოამბეში“ ნამეტურ. ფრიათ მიმზიდველი და წარმატცია ამ პუბლიცისტის სხარტი, მოქნილი, დახვეწილი, ნიაუსავით სუბუქი, მასთან მკვეთრი და მკექარე, ცოცხალი

სალიტერატურო ფორმების ხმარება, მხვილი და წარმატცი ენა. და, ამიტომაც, ნიკო ნიკოლაძე ქართულს პუბლიცისტიკაში სწორედ ისე, როგორც აკაკი ქართულს ლირიკაში, ერთი დადი, გენიოსური გამომხატველთაგანია და შემქნელი ქართული ახალი საპუბლიცისტიკო ენისა. მაშასადამე, არავის არ უნდა გაუყვირდეს, თუ პირუთენელმა სალიტერატურო კრიტიკამ ნიკო ნიკოლაძე ჩასთვალოს ქართლო სიანთა ერის ახალი ლიტერატურის ერთ უღიადეს, უშესანიშნავეს მნათობად..

ხამაჯელი.

შემდეგ ნუძეში დასტამბება ჩვენი თანამშრომლის ბატონ ნიკო ნიკოლაძის კრიტიკა აკაკისე და ილიასე.

მწიგნობრობის თანამგზავრი.

(„Газетный миръ“ — И. В. Вольфсона).
(წერილი მესამე).
(ახ. „განთადა“ № 2 და 3).

ქართულ მწიგნობრობის ზრდასთან ერთად ქართულ პერიოდულ გამოცემების თანდათან ზრდაც მოწმეა იმისა, რომ ქართველები წინსვლის გზას ადგანან. ამ მხრით, როგორც რუსეთში მისი ახალი სატახტო ქალაქი, პეტროგრადი პირველობს, ისე აქ, კავკასიაში გამომცემლობის საქმეში თფილასის უჭარბესი პირველი ადგილი. მხოლოდ ქართული გამოცემები მარტო ორ ქალაქში: თფილისსა და ქუთაისში როდი გამოდის, როგორც ეს შეცთომით ნაჩვენები აქვს ვოლფსონს, არამედ ქართული ასოებით კავკასიის ექვს ქალაქში ისტამბულოდა და ისტამბუბა ოცდახუთნაირი ქართული პერიოდული გამოცემა.

მკითხველთა და სარეცენზიო წიგნის ავტორის საყურათლებით მომყავს ქვევით სია ჩვენი გამოცემებისა. ვიწყებ დედა ქალაქ თფილისიდან, სადაც ისტამბუბა შემდეგი პერიოდული გამოცემები: პირმოშო შემკვიდრე ილია

კავკასიის უხუცეს „ავგრიას“ დღეს ელფერცელილი 1. „სახლსო ფურცელი“. შემდეგ ჩვენი ახალი ცხოვრების პირობებზე აღმოცენებული შემკვიდრე გიორგი წერეთლის კვირული „კუჯას“ აღრინდელი დღიური ორგანოები: „სსაი“, „მერცხაი“ და სხვა მათი მომყოლი გახეთები: 2. „ახლა ახრაი“ (დღიურება) 3. „თემა“, 4. „კლდე“, 5. „თეატრი და ცხოვრება“, რომელსაც დაულალავით ხელმძღვანელობს ბექლითი საქმეში. ერთი საქმო ტანჯვა-წვალების ამტანი მწიგნობარი იოსებ იმედაშვილი, რომელიც აგრეთვე მარტოხელ ეწევა გამომცემლობის საქმეს თფილისში. დღეს კი ძველ მობერებულ 6. „მთაწახს“ მიემატა 7. „ახალიმთაწახს“, რომლის თავდაპირვანდელ დამარსებლის „ეშმაკი“-ს და „თავუნა“-ს გარშემო თავი მოიყარეს მათმა პირვანდელმა მახლობელმა თანამშრომლებმა. შრომისგან კაინნის მოხვეწებულები თავიანთ მამათმთავართან ერთად დღეს ყველანი შეუდგენ ძველებუ ათ თვის მოღვაწეობის და ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების სიდუხჭირის ბასრი იუმორისტული კილოთ დაცინვა-გაკილვას.

ახოვს რა ჩვენ საზოგადოებას ძველი „ეშმაკის მთაწახს“-ს სუსხიანი მათრახები, — კაინანია მოელოდა ამ იუმორისტულ გამოცემის განახლებას. დღევანდელ ქართველის დანადგლიანებულ ბოლმით აღვსილ სულსა და გულს, თუ ეშმაკის იუმორი კვირაში ერთხელ

სევედებს გაუქარვებს დანაღლიანათ გააცინებს, — ამითაც მალამოთ დაედება ეს ორგანო ახლანდელ ქართველ მკითხველს. მაშ უსურვოთ ამ ორგანოს განახლებული დღეგძელობა ქართულ მწიგნობრობის მეტათ ეკლიან გზაზე სასიარულოთ... 8. ორთავე „შათარსია“ იუმორისტულია. 8. სამეურნეო ჟურნალი „მასხავალი“ (კვირულია). თვიური სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი 9. „განათლება“, რომელსაც ახლახან საქმით გაუმჯობესობა დაეტყო მისი მარტოხელ ხალმძღვანელის ლ. ბოცვაძის ხელში. საყმაწვილო . ორკვირული — თვიური ჟურნალები: უზუტესი (26 წლის) 10. „ჯეჯილი“ და 11. „ხაკაღული“ — ს ორნაირი ნახატებიანი გამოცემა. პერიოდულ გამოცემასვე ვაკუთვნებ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ანგარიშებისთვის გამოცემული 12 „ბაუაქტეხებს“, რომლის მკითხველები, მართალია, თითებზე დასათვლელია, მარა მას საწიგნობრო გამოცემის მნიშვნელობა აქვს და სიაში ჩასატანია.

ამ წლიდან თფილისის პრესას შეემატა მეცამეტე საორშაბათო ორგანო ესდევური „შადრევანი“, რომელიც ამ მიმართულების მეორე ფრთის მისწრაფება-მიდრეკილების გამოხატველია და რომლის ახლანდელი ხელმძღვანელები დღემდე სხვათა ორგანოებში მომთაბარებოდენ (КОНЕВАН), რაკი თვისი საკუთარი ორგანო ვერ მოეგვარებიათ...

„შადრევანი“-ს პირველი, დღემდე გამოსული №№ ბევრისგან (აქამდე მტრებისგანაც) შინაარსით მოსაწონი შეიქნა და მკითხველებზე კარგ ჩაბეჭდილებას ტოვებს. მოსალოდნელია, რომ მას მკითხველები მოუშრავლდება და ზოგიერთ ქუთათურ-თფილისელ აღტყინებულ-უცოდინარ, უუნარო და ვაზეთის წარმოების საქმეში გამოუცთელ ახალგაზდების ორგანოების ბედი არ ეწევა, დღენაკლული არ გამოდგება. და, მართლაც, ვინძლო მას აუხლდეს პოეტ გ. ქუჩიშვილის მისალმება:

„ამოხეთქე „შადრევანო“, გადმოდინდი ნაკადულათ, არ შეგუბდე ვით ქაობი, მთას

ეკვეთე გაბედულათ“ — „აგულიანებს მას თანამგრძნობი მეოსანი (იხ. „შად.“ № 4).

გუშინ ჩვენ პერიოდულ გამოცემათა პანთეონს შემატებული თფილისელი „შადრევანი“, რომლისადმი თანაგრძნობის ტონი უკვე განისმა ქართულ პრესაში, — უეჭველია, თავის მკითხველებს ზლომათ მოუყურის თავს, შეაკავშირებს და ასე ფართო გავრცელებას ხელს შეუწყობს.

შემდეგ თფილისისა, მწიგნობრობის, პერიოდულ გამოცემების გაზრცელებას საქმე სწრაფის ნაბიჯით ვითარდება იმერეთის დედა ქალაქ ქუთაისში. აქ ვოლფსონის გამოცემის საანგარიშო წლებში 1911—1914 და მდგომარე წლის იანვრიდან გამოდიოდა და გამოდის შემდეგი პერიოდული გამოცემები: 1. „კოლხიდა“, „ქიბი“, შემდეგ „იმერეთი“ ნაშობი, მერე კი „ახალ ივერიათ“ განათლული. დღეს ფერცვლილ წინაპრების სამაგიეროთ ქუთაისის საგაზეთო ყამირ ნიადაგზე აღმოცენდა ერთნაირი ორგანო, ძველი სახელწოდებით „იმერეთი“, რომლის მაგიერ უკვე გამოვიდა ია—ეკალაძის „სამშობლო“. ეს ორგანო დღეს ნაციონალ-დემოკრატიკებისაა.

მეორე ესდევური მიმართულების გამოცემა „ახალი აზრია“ ეს ერთი ხანია, საცენზურო პირობების გამო, თფილისშია გადაბარებული და ამ მხრით იქ უზრუნველყოფილი განაგძობს სიცოცხლეს. ხოლო ძველი „კოლხიდა“-ს გამგძობი პირწმინდა ესფერული ორგანოს გამოცემა ქუთაისში ამ ომიანობის ხანაში შეჩერდა და ამინდის გაუმჯობესობას ელის...

და, რაკი ქუთაისში ორნაირი მიმართულების ორგანოების გამოცემა შეწყდა, ამ გარემოებით ისარგებლა და ომმაც ხელი შეუწყო მწერლობით, კალმოსნობით მოხალისე ახალგაზდათა ერთს ჯგუფს და მათ დაიწყეს კვირულათ გამოცემა ვაზეთ „შრამა“-სი, რომელიც ამ წლის იანვრიდან უკვე გაადლიურეს და ამიერიდან ასეა, თუ ისე ეწეოდენ მძიმე ქაპანს პერიოდულ გამოცემის საქმისას. „შრომა“ მეორე დღიური გამოცემა იყო ქუთაისში და, ალბათ, ამგვარების არსებობა აქ ომიანო-

ბაზე იქნება დამოკიდებული, რადგან ჩვეულებრივ დროს 800 — 1200-დი ტირაჟის პატრონი ორგანო ნივთიერის მხრით თავს ვერ ირჩენს, რაგინდნაკლები, არაინტელიგენტური მოთხოვნილებები ქონდეს მათ მცირე რიცხვთან მახლობელ ხელმძღვანელებს და ვარაუდობებით, ხელის წყობით კვებადენ მას...

აგერ მცხეთე წელიწადია ქუთაისში გამოდის მ. „კაპანჯანია“ და 4. „მრამას გაჟმირა“, „საკაპანჯანია ბიბლიოთეკით“. ესენი დღიდან დაარსებისა გამოდის მარტო მარტო დაუღალავათ მშრომელ იასონ ვაბილიას ხელმძღვანელობით; როცა იგი მარტოხელი, ამ გამოცემისთვის ორიოდ გროშს აქეთ იქიდან შეავრგოვებს, თავს მოუყრის. ამრიგათ, იგი პირველი პიონერია ჩვენ პრესაში საქირო საკოოპერაციო მასალის თავმოყრისა, ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით საკოოპერაციო იდეის ლეგალურათ ქადაგებისა ხალხში.

რამდენათაც ამ ახალ, სადღეისო მოძრაობას ჩვენში თვალ-ყურს ვადევნებ და მისი ზრდა, წარმატება გამითვალისწინებია, საკოოპერაციო ორგანოს შექმნა დღეს ჩვენშიაც საქირო და სასარგებლოა. და, თუ სპეციალურათ ასეთი ორგანოს არსებობა ჯერ ნივთიერათ მოუხერხებელია, — მე შესაძლოთ მიმაჩნია მას შეუერთოთ ჩვენი კულტურულ საქმიანობის მეორენაირი დარგი მწიგნობრობის საქმე და ამრიგათ ერთი საკვირაო, თუ საორკვირაო ორგანოში მოვეყაროთ თავი ამ ორ სადღეისო საქმის იდეურ, თეორეტიულ-პრაქტიკულათ მომზადებულ და ენერგიულათ მომქმედ ახალგაზღვებს, ამ დიადი საქმის გულწრფელ პიონერებს ახლათ აღორძინების გზაზე შემდგარ საქართველოსას...

ამგვარ ორგანოს საქიროება ცხოვრებამ დღეს ჩვენშიაც წამოაყენა დაბოლო ხალხის ვინებრივ-ეკონომხურათ წარმატებისთვის. მისთვის ჩვენი ყამირი ნიადაგიც შემზადებულია და მაშ, ამ იდეების იდეიური მთესველები, ენერგიული პიონერებია საქირო.

მარა მაგარი, როგორც მწიგნობრობის საქმეში, აქაც ისაა, რომ საკოოპერაციო საქ-

მეში თეორეტიულ-პრაქტიკულათ მომზადებულები ჩვენში ძალიან ცოტანი მოიპოვებინ და მათაც ამ თავიდანვე მოუმზადებელი, მისი ავი და კარგის უცოდინარი და თან კაპეციების, ლუკმა პურის მაძიებელნი აეტორლიაღენ და მათ ხელმძღვანელობას კისრულობენ და თავხედურათ ჩემულობენ კიდევ.

ხოლო დღეინდელი ომიანობის ხანა, თუკი რაიმე კულტურულ-პრაქტიკულ საქმიანობის ხელის შემწყობია თვის სასტიკ განვითარებით და შედეგებით, — კაპანჯანიას და ბეჭდვითი სიტყვის, განვითარება-გაგრძელების საქმეს, როგორც ცხაყრებაში, ისე პრესაში პარტეჯი, სათანადო ალაგი უნდა ექნინოს და ამ სახალხო კულტურულ საქმეებს მეტი გაფაცოებული ყურათღება უნდა მიეპყროს ჩვენი ინტელიგენციის მიერ, რომელიც სხვა ჩვენ კულტურულ დაწესებულებებში ასე ბევრს ყუყოჩობს საზოგადო ვითომდა საქმიანობით. დღეინდელ ცხოვრების პირობების მიხედვით, მისთვის ეს ორგვარი საქმიანობა მიგვაჩნია დროის შესაფერისათ და სამოქმედოთ.

მეოთხე სასარგებლო, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობისთვის, ორგანოთ ქუთაისში იოვლება „სასაფლო ვაჭეთი“, რომლის ხელმძღვანელობა დაბოლოს თავს იღვა ქუთაისის სამეურნეო შკოლის მართველმა თვის მასწავლებელ და სხვა მეურნეებთან ერთათ. დღემდი ეს გახეთიც ქართულ გამოცემებისთვის სენათ გადაქცეულუსახსრობის გამო დროებით. ამ ომიანობის ხანაში შეჩერებული იყო და ნივთიერ ლიტერატურულ ძალღონის მოკრებას ელოდა. პირველ მარტიდან კი მათმა ხელმძღვანელებმა ისევ მოიკრიბა ლიტერატურულ-ნივთიერი ძალები და განახლეს ეს ჩვენებურ მეურნეობისთვის მეტათ საქირო და სასარგებლო ორგანო, რომლის დახმარებას ყოველი ქართული კულტურული დაწესებულება და ქართველი მოღვაწე უნდა ცთილობდეს, რადგან ეს გამოცემა ნამეტურ იმერეთში ფეხს იკიდებს და ვრცელდება სოფლის მეურნეებში. ამიტომ მის დახმარებაზე გაღებული გონებრივ-ნივთიერი ძალღონე, წვლი-

ლი, უტყვევლია, სარგებლობას მოუტანს ჩვენ სოფლის მეურნეობას, რომლის აღორძინებისთვის ამ ბოლო დროს ასე ბევრს ლაპარაკობენ სამეურნეო, თუ ისე საზოგადოებათა კრებებზე და პრესაშიც...

მეხუთე ქართულ გამოცემათ ქუთაისში ირიცხება სამღვდელოების ორგანო „შინაური საქმეება“ დ. ლამაზიძის „მწყემისი“-ს სამაგიერო ჟურნალი, რომელიც დღეს უსახსრობის გამო, შეჩერებულია. ქართველ სამღვდელოებს ერთი თვისი ორგანოს გამოცემაც ვერ მოუხერხებია „მწყემისი“ სენერგიულ ხელმძღვანელის დეკ. ლამაზიძის სიკვდილს შემდეგ.

ამ წლის იანვრიდან ქუთაისში იწყო გამოვლენა ჟურნალ „განათლება“, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელობა რამდენიმე ახალგაზდებთან შეთანხმებით იკისრა ჩვენ მწერლობაში ცნობილმა მე-90 იან წლების კრიტიკოსმა ბ. სომღელაშა. მან ეს შეეჭვებ ქართული გამოცემა ქუთაისში უპარტიო ორგანოთ გამოაცხადა და ყველა მიმართულებიდან იწვევს შიგ მწერლებს. ვნახოთ, ამგვარ ორგანოს რამდენინის ბორჯი ექნება ჩვენში...

მეშვიდე ქართულ ორგანოთ ქუთაისში ჩვენ მიგვაჩნდა დიდის შეპირებებით დაწყებული მხატვრული საკვირაო ჟურნალი ახალგაზდა კალმოსანთა ჯგუფისა, მოკლე ხნოვანი „ქაქას ვერსი“, რომელიც ისევ უსახსრობითა შეჩერებული. რადგან პერიოდულ გამოცემების გამავრცელებლნი, როგორც ვაღმოგვცა ამ ჟურნალის გამომცემელმა ვერც მასთან გამომდგარან პირნათლათ: იმათგან 600—800 მანათში მხოლოთ 80 მან. აულია და ასეთ პირობებში საოცარი, რატომ უკვირს ჩვენ ინტელიგენტებს, რომ ამოდენი ქართული გამოცემები ვერ ხეირობენ, დიდის ჰაპანწყვეტით, გაკვირებით მიაჩანჩალებენ თავიანთ თვიურ და იშვიათათ წლიურ ცხოვრებას. ქუთათურ „ოქროს ვერძის“ განახლებას მაინც კიდე მოვლიან ზოგიერთნი, თუ მის გამომცემელს შეჩერების დლიდან დღემდე გული გამოუშთელდა ქართულ გამომცემლობა-მწიგნობრობის ეკლიან გზაზე სასიარულოთ.

შავი ზღვის პირათ ბათუმშიც ქართველებმა წასულ საანგარიშო წლებში გაიჩინეს ქართული გამოცემა 21 „ბათუმის გაზეთი“, რომელსაც სათავეში ედგა გამომცემლობა—მწიგნობრობის საქმეში საკმაოთ გამოცთილი და ენერგიული მწიგნობარი სპირდონ ჭკელიძე. მან ბათუმელ გაზეთის საშვალეებით ორთავ მიმართულებისთვის საინტერესო ეროვნული საკითხის თვითგამორკვევას მიყო ხელი შავი ზღვის პირებიდან და მით თვის გამოცემას მეტი დაინტერესებული მკითხველები შემატა მომეტებულათ ბათუმსა და მის რაიონებში: გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში. ხსენებულმა გაზეთმა მეზობელ ქართველ მამადიანების, აქარლების ყოფი-ცხოვრების, ახლანდელ საპირობებათა მომეტებული ყურათლების მიპყრობითაც გამოიჩინა თავი და თავის ფურცლებზე საყურათლებო ცნობებს, წერილებს აწვდიდა ქართველ მკითხველებს, რაც სხვა გაზეთებს მყისვე თავიანთ ფურცლებზე გადაქონდათ.

მარა ლიტერატურულათ გაუმჯობესობის და გავრცელების მხრით მატების გზაზე როცა შესდგა შავი ზღვის პირის გაზეთი, ამ დროს ომმა მოუსწრო და სამხედრო პირობების გამო, ბათუმში შეუძლებელი შეიქნა არა თუ ადგილობრივათ ქართული გაზეთის გამოცემა, თფილის-ქუთაისის ქართული გამოცემებიც აღარ გააქაქანეს იქ გასასყადლოთ და დღეს ბათუმელი ქართველები სრულიათ მოკლებულია ყოველგვარ ქართულ გამოცემების ადგილობრივათ ყიდვასა და კითხვას.

ამნაირ პირობებში დაიხურა „ბათ. გაზეთი“ და მისი ხელმძღვანელი იძულებული გახდა სწვებთან ერთათ მიეტოვებია ბათუმი და შორეულ ქვეყანაში ხელახლა გადახვეწილყო. ამნაირ პირობებშია შეჩერებული ბათუმელ ქართველთა გაზეთის გამოცემა. იქვე იმ ხანებში გამოდიოდა ქართული თეატრის პიონერთა საკვირაო ჟურნალი 22 „მოგზაური“, რომლის სიცოცხლე უსახსრობის გამო ხანმოკლე იყო და ესეც ქართულ უკვე განსვენებულ გამოცემათა პანთეონის რიცხვშია მოყოლილი.

გამომცემლობის საქმეში გასულ წლების

განმავლობაში თავი წამოყო საქართველოს დანარჩენ პროვინციების ქალაქებმაც და „ტეტიათა“ სამფლობელო ქართლსა და კახეთშიაც დაიწყეს გამოცემა ქართულ პერიოდულ გამოცემებისა, რომელთაც თვით ეს სახელი „ქართლი“ და „ხმა კახეთისა“ უწოდეს.

აქ „ტეტიათა მოტრფიალე“ ინტელიგენტებმა იწყეს გაზეთების გამოცემით ადგილობრივ მკვიდრის გონებრივ წყურვილის დაკმაყოფილება, მათი მწიგნობრობის, ბექვლითი სიტყვისაღმი ტრფიალის გაღვივება.

დღეს ამ საქართველოს ორ დედა გულში სიღნაღსა და გონება გამოდის კვირაში სამსაჯერ პატარ-პატარა გაზეთები პირველში ორგანო 23 „ხმა კახეთისა“ და მეორეში 24 „ქართლი“ დღეს „სახლ ქართლათ“ წოდებული და დ. კარიჭაშვილის მიერ ნახელმძღვანელები.

და თუ ქართულ პერიოდულ გამოცემებს დიდრონ ქალაქებსა: თფილისსა და ქუთაისში უჭირთ თავიანთი გამოცემების მართვა-წარმოება ნივთიერთადაც და ლიტერატურულათაც, ათასჯერ მეტს გასაქირს განიცთიან ზემოხსენებულ პროვინციალურ ქალაქებში პერიოდულ გამოცემების ხელმძღვანელები. იქ ორთავე მხრით მათი დამხმარენი დიოგენის ფანრით საძებარნი არიან. ყოველივე ტანჯვა-წვალება თითო-ორიოლა ინტელიგენტის ზვედრია და მე, გამომცემლობის საქმესთან ახლოს მდგომს და მისი ავ-კარგის უკეთ მცოდნეს ძლიერ მაკვირვებს: როგორ ახერხებენ პროვინციალურ ქალაქებში გაზეთების სამ, ოთხ-ოთხი წლობით არსებობას, ზ ხელმძღვანელობას?! ამასთან ერთად, როგორც მწიგნობარს ამ საქმეზე შეზღილ-შესისხლხორცებულს, ამავე დროს მე ძლიერ მაინტერესებს სტიქისტიკა ჩვენი ქართული ორგანოების ზრდა-გავრცელებისა და საერთო თავგადასავალი ჩვენი ორგანოების ხელმძღვანელების და მათი ნაწარმოები საქმისა ამ დარგში. მათი თავგადასავალი მწიგნობრობის ქართული ისტორიისთვის ძლიერ საინტერესო და საქირო მასალა აქნება და ჩვენ

მთხოვნელი ვართ ყველა მათგანს, ასეთი მასალები მოგვაწოდონ ხოლმე ჯერ „განთიადი“-სთვის და, როცა სამწიგნობრო ჟურნალს ველირსებით, იქ განვაგრძობთ ასეთ საქირო მასალის სტამბვას..

საქართველოს დასავლეთ-აღმოსავლეთ კუთხეებს მხარი დაუჭირა ქართულ გამომცემლობის საქმეში მათი აღმოსავლეთის ანტიპოდმა —**ბაქოშიც**, სადაც ქართველობა ამ ბოლო ხანებში ფხას და უნარს იჩენს ცხოვრების არსებობის ბრძოლაში. ნივთიერ პირობების გაუმჯობესობის გარდა, რაშიაც ბაქოელ ქართველების ცხოვრებას ღიღი წარმატება ეტყობა. —იქაურ დაბიო ქართველობამ ლიტერატურული ორგანოც გაიჩინა ურთიერთ შორის დასაკავშირებლათ, თავიანთ საერთო, თუ ადგილობრივ ინტერესების დასაცავათ და თავიანთი აზრების გასამტკიცებლათ.

ბაქოელ ქართველების ორგანო იყო ჩვენ პრესაში დასელოთა „კვალისებური“ გარკვეულ პოზიციის მატარებელი საკვირაო ჟურნალი, თავის ხანმოკლე სიცოცხლეში რიცხვით 25 კვირეული გამოცემა „წყარო“. თავის პოპულიარული აზრებით შორეულ მდულარე ქალაქიდან იგი საკმაოთ რწყავდა საქართველოს შუაგულ კუთხეების მკთხველების სულსა და გულს.

მარა ქართული გამოცემებისათვის საბედისწეროთ გადაქეული ნივთიერი დაბრკოლება საქმის წარმოებისა ხსენებული გამომცემის სენათაც გადიქცა და მისგან დაუძლორებულ „წყაროს“ დენა ბაქოდან მალე მოესპო ქართველ „ახალ მკითხველებს“ დაბიობთა წრეებიდან. ამნაირათ ეს ორგანოც დაბოლოს უნახსრობის გამოა შეჩერებული..

ისიღარე კვიტარიქ.



მ წ ი რ ი

პ ო ე მ ა

ვესდენი ჩემს გულათად მეკვამანს—ანდრა რეს-
ვიაშვილს.

კავკასიის ერთ-ერთ ნისლით დაბურულ
ბნელსა ტყე-ღრეში,
იქ, სადაც ჯერაც ადამიანის ფეხს არ უვლია,
ცხოვრობს ქაბუკი ცივს, გამოქვაბულს, ნეს-
ტიან კლდეში
და მის მახლობათ შიშის მხეცებსაც ვერ გა-
უვლია.

ცხოვრობს, და თანაც თვისი ბედ-იღბ-
ლის მადლიერია,
რადგან ბუნება წყალობს, დედ-მამის მაგიერია,
არვის არ ერჩის, თუმცა ძალღონით ის ძლი-
ერია

და ხასიათით მშვიდი და წყნარი, კანდიერია.

მას ხელთ უპყრია ძველი ჩანგური, პაპა-
სეული,
რომელ ჩანგურსაც თასმა აბია ვეცხლისა ფე-
რის,

მისა წინაშე ძვეს გადაშლილი ქვეყნის რვე-
ული
და შიგ ჩამყურე სოფლიურ ტანჯვებს კითხუ-
ლობს მღერის!..

* *

იმ ხეივნისა გარშემო, ირგვლივ,
ის ვეცხლის თასმა შემორტყმულია,
თითქოს სამეფო ქაბუკ-მწირისა
უკვე წინასწარ განსაზღვრულია.
თასმა ზოგ-ზოგან ორკეცათა სდევს,
უსწორ-მასწოროთ დახლართულია,
თუმც ალაგ-ალაგ სრულიათ არ ჩანს
და ღრმათ მიწის გულს ჩამარხულია.
ბალახით მოსილ მიღვრის სივრცეში,
მის ვეცხლის სხივნი გაფანტულია
და თვალ-უწვდენი მომწვანო მდელი
ათას ფერათა მოქარგულია!..

* *

ვარსკვლავ მთვარესა ამ ვეცხლის თასმამ

გამოაცალა სხივთ ელვარება,
მდელის სიმწვანე, მაისის ვარდსა —
სურნელება და შევნიერება,
ანკარა წყაროს —უბიწოება,
მღელვარე ზღვასა მკენესარ ტალღები,
იას — სიტურფი, ფრთოვანთ მგოსანსა —
არმონიული ტკბილი ჰანგები;
მზეს — ბრწყინვალეობა, ცას სიზურმუხტე,
ელვას — სისწრაფე, მესხა — გრიგალი,
პაწა ნაკადულს — თვის სიხალისე,
სიკეკლუცე და ტალღათა ჩხრაილი. —
ყველა ესენი წვრილ-წვრილათ დაწვნა,
შემდეგ ააბა ჩონგურს სიმებათ
და, რაც გ-დარჩა ქაბუკსა მწირსა,
მიუთავაზა ძღვენი მძივებათ.
და იმ ჩონგურზე ქაბუკი იგი
ქვეყნის ქირ-ვარამს ლექსათ აძღერებს,
ხან გაიცინებს, ხანაც კი კენესით
ცხარე ცრემლებს ღვრის, ჩონგურს ატირებს!..

—

ხეივნის მახლობ გზათ გარებული
ვეცხლის თასმაზე ნაწერს შენიშნავს
და ქარაგმთ შორის მგზავრისა თვალა
სიტყვებს გულის მწველს ზედ წაიკითხავს!..

* *

ოხ!.. მეცა მქონდა ტურფა სამშობლო,
ი-ვარდებით შემკულ-ქარგული
და მის მნახველსა, უცხოელ ვინმეს,
შურის ძიებით უძგერდა გული...
დღეს აღარ არის... რადგან მღელვარე
ზღვამ თვის ტალღა შემოკრა მკაცრად,
განადგურა და მის ზვირთებმა
მთლად გადარეცა, აქცია ნაკრად.
მეც ცხოვრების ზღვის ტალღებს გავექმე,
რადგან მე ნავი შიგ ვერ ვაცურე...
თუმც ზვირთებს ვსჩხედი, ნიჩხებს ვიქნევი,
მაინც შუა გულში ვერ შევაცურე.
საყვარულ ერის ტანჯვა-წვალებას
ვერ, ვერ ვუტკირე... მიტომ გავშორდი
და მწირმა, გულის დასამწვიდებლათ,
ბნელ ხეივანსა დაუმეგობრდი.
მას აქეთ ცხარე ცრემლთა ფრქვევითა
ტყე-ღრეში კენესით დავხეტები,

სიკვდილს დავეძებ ერთათ-ერთ ნუგეშს,
მარა ბუნებას ვერ ვემეტები.

და, ხელს მიჭირავს ძველი ჩონგური
მაია-პაპისგან ნანადერძევი,
მას განუყრელათ თანვე ვატარებ,
ვაჟდერ-ვაკენესებ, ყურს მივდებს ხევი.
ვისთვის ვიბრძოდი, ვიტანჯებოდი,
ვისთვისაც თვალმა ცრელი დაღვარა,
მან ჩემს წინაშე გამოილაშკრა,
ტანჯვასთან კრულვა აღარ მაკმარა!
ეკლის გვირგვინით შუბლი შემიმკო,
მაწამა, როგორც ჩვენთვის ჯვარ ცმული,
სიცილ-ხარხარით შორს, შორს გამდევნა,
მძიმე წყლულებით დახიჩრა გული.
მარა მე, ამის მიუხედავით,
მიყვარს სამშობლო, კვლავ მეყვარება,
და მის ტურფა გულს ვერვის დაუთმოვ,
თუნდ კვლავ მაწამონ, არ მენალღვება!..

* * *

სიტყვა სიტყვასა მისდევს, მიმოქრის,
გულის სიღრმიდან ამონადები
და მის სიმძლავრით სწრაფლ ბნელდებიან
განცხრომის ძეთა ძვირფას სარკმლები.
თვის სიმღერაში ქაბუკი იგი
ძველებურ დროის ამბავს მოგვითხრობს,
ტანჯვის სურათნი, ნათელ სახითა
გადმოცემულნი, მსმენელთ გულს უფროთხობს.
განვილილ ცხოვრების მწარე სურათი
ვეცხლის თასმაზე დახატულია,
და ის სურათი მებრძოლთ გმირების
უმანკო სისხლით დაწინწყლულია.
ტურფა სამშობლოს განცთილი ტანჯვა,
გამქრალი მისი ქება-დიდება,
ამა ჯადოსნურ ვეცხლის თასმაზე
ბოლო სიტყვამდი წაიკითხება!..

ხეივანის მახლობლად გზათ გარებული
ვეცხლის თასმაზე ნაწერს შენიშნავს
და, ქარბგმთ შორის, მგზავრისა თვალნი
სიტყვებს გულის მწველს ზედ წაიკითხავს!..

* * *

ოხ, ოხ, რა ხიბება!.. რა საზიხდრობას
უცქერის თვალნი!..

დახეთ, მსაჯულის წინაშე ყრნა დგას, ცამ-
დი მართალი!..

ახლა, ამ წუთში მთლათ გადაწყდება მის ბედ-
იღბალი

და, ვინ, ვინ იცის, რას მიუსაჯავს მას სა-
მართალი!..

ისმის სუსტი ხმა ბრალდებულისა: „უსამართ-
ლობა!..“

იმას ბანს აძლევს მღვლევარე, ვით ზღვა, შე-
კრებულება:

„ნუ თუ კვლავ შეფობს ძლიერთ წინაშე უძ-
ლურთა გმობა,

და ვის სმენია ცამდი მართალის გასამართ-
ლება?!“

დ. საქარელი.

(დასასრული იქნება).

ომის მაგიანე.

ამ უკანასკნელმა ხანებმა გერმანიისა და
ავსტრიის ფრონტებზე სასტიკი შეტაკებები
გვიძლენა.

მკითხველს ემახსოვრება მეოთხე ნუმრი-
დან, რომ რუსები იძულებული იყვნენ აღმო-
სავლეთ პრუსიისთვის თავი დაენებებიათ და
თვის ტერიტორიაზე გადმოსულიყვნენ. შემდეგ
აი, რას ვხედავთ: უკან დახეულ რუსის ჯარს
თან გამოყვეს გერმანელები და ვისლა-ნემანის
რაიონს შემოესიეს. იქვე დაიბადა—გერმანე-
ლებმა გროდნოდან მოვლით პეტროგრად-
ვარშავის მთავარ საკვები რკინის გზა მოინ-
დომეს გადაქრანო. ამ იქვს, მართლაც, გასა-
მართლებელი საბუთებიც ქონდა: ვისლა-ნემა-
ნის რაიონში გერმანელებმა რამდენიმე აღ-
გილს დაიწყეს მოქმედება: დაიკავეს ნემანის
მარცხენა ნაპირი, რომ მით მარჯვენა ნაპირ-
ზე გადასვლა უზრუნველყოთ; დაუშინეს ოსო-
ვეცს უზარმაზარი ზარბაზნებით ყუმბარები;
განუწყვეტელი ბრძოლა გააჩაღეს ნარევის

მარჯვენა ნაპირზე; შეეცადენ ნოვოგოროდით და პრასნიშით რუსის ჯარის გარღვევას და სხვა. --

ნემანის მარჯვენა ნაპირზე მათი გადასვლა დიდ საფოხნეს უმზადებდა რუსებს, რადგან ამით რუსები იძულებული იქნებოდნენ დაეტოვებიათ ნემანის ხაზი; ეს კი, თავის თავათ ნარეე-პოპრის ძლიერ ხაზის მტრის ხელში ჩაგდებას უღრიდა. ამ უკანასკნელს-კი დიდი ზარალის მოტანა შეეძლო რუსებისთვის.

ხიფათის თავიდან ასაცილებლათ, რუსებმა, თავის მხრით, იწყეს მტრის ამ რაზმის ჩრდილოეთიდან შემოვლა.

ნარევის მარჯვენა ნაპირზე, როგორც ვთქვით, გერმანელებმა ბრძოლას იმისთვის აწარმოებდნენ, რომ როგორმე ნოვოგოროდ პრასნიშით მოეტანათ იერიში რუსებზე და გაერღვიათ მათი ჯარი; თუ რუსის ჯარის გარღვევას შეძლებდნენ, იმ შემთხვევაში თავისუფლათ დაიკავებდნენ ოსტროლენკას. უკანასკნელი-კი რკინის გზის კვანძია. ცხადია, ოსტროლენკის დაპყრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

გერმანელებმა ნოვოგეორგიევსკისკენაც მიაპყრეს ყურათღება და ლაშობდნენ სხვა და სხვა მოხერხებული მოქმედებით იმას ხელში ჩაგდებას; და, რადგან ნოვოგეორგიევსკი ვარშავის მფარველი დარაჯია, ცხადია, მის შემდეგ ვარშავა სტრატეგიულათ გატიტვლებული იქნებოდა.

ყოველივე ეს პრასნიშთან წინათ მომხთარმა შეტაკებამ გაუქარწყლა გერმანელებს.

ამის შემდეგ, ერთი დახევა, საგრძნობლათ დაიხიეს უკან გერმანელებმა; ამ დახევამ სხვა და სხვა გვარი აზრები და განმარტება დაბადა. ზოგი ამბობდა, გერმანელები სასტიკათ დამარცხდნენო, ზოგი-კი ამას არ ეთანხმებოდა.

მართლაც, უნდა ვთქვათ, რომ, თუ გერმანელების მიზანი ის იყო, რომ აღმოსავლეთი პრუსიის გაეთავისუფლებიათ და ვისლის მარცხენა ნაპირიდან რუმები აქეთ-იქით გაეტყუებიათ, მაშინ ისინი გამარჯვებულათ უნ-

და ჩავთვალოთ და არა დამარცხებულათ, რადგან ეს ორივე განხორციელდა; ხოლო, თუ ამის გარდა კიდევ ზედმეტი რამე ქონდათ სახეში - მაგალითათ, გროდნოსთან საკვები გზის გადაჭრა და პოლონეთის მახეში გაბმა, იმ შემთხვევაში კი მათი ოპერაცია დამარცხებულათ უნდა გამოცხადდეს, რადგან ეს მათ ვერ შეძლეს.

მარა გერმანელების უკან დახევაც თან და თან შეჩერდა; გერმანელებმა რალაც ახალი გეგმა შეიმუშავეს და ისევ დაიწყეს პრასნიშთან და ოსოვეცთან იერიშების მოტანა და სასტიკი საარტილერიო ბრძოლა. აიღეს გროდნო და 10,000 მანათი კონტრიბუცია დაადვა. ამბობენ, გინდენბურგი დიდ რალაცას ამზადებსო, მარა ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება, რა იქნება ხვალ. იქვი იბადება, რომ მათ მოქმედებას დემონსტრაციული ხასიათი უნდა ქონდეს; გერმანელები არც ვისლის ნაპირებს იფიწყებდნენ, მარა მაინც და მაინც იქ ღირსშესანიშნავი არაფერი ყოფილა.

ავსტრიაში ომი, როგორც ვიცით, კარბატებსა და აღმოსავლეთ გალიციაში წარმოებდა. მეზო-ლაბორჩისა და ტუხლას მიდამოებში თავგანწირული იერიშები მოქონდათ ავსტრიელებს, რადგან იმათ კარგათ ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა მათ ამ მიდამოებში გამარჯვებას პერემიშლის ბედ ილბალზე. მარა მარტო პერემიშლზეც არ ექნებოდა აქ გამარჯვებას ვავლენა: აქ ავსტრიელების გამარჯვებას შეეძლო გადაწყვიტა აღმოსავლეთ გალიციისა და ბუკოვინის ბედ-ილბალი; რასაკვირველია, რომ ავსტრიელები არ დაზოგავდნენ არავითარ საშვალებას, ოღონდ გაემარჯვათ და კიდევაც იღონეს საღონებელი. მარა მათი ცთა ამო დარჩა და, აი, დებეშებმა გვამცნო 9 მარტს პერემიშლი რუსებმა აიღო და დიდი ჯარიც შიგ შეიყვანაო.

ეს დიდზე-უდიდესი გამარჯვებაა ამ მიდამოებში. ბერნარიათ საყურათღებოა პერემიშლის რუსების ხელში გადმოსვლა: ერთი, რომ ახლა შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ავსტრიაში გალიცია დაკარგა; შემდეგ პერე-

მიწლის ირგვლივ მდგომი მილიონზე მეტი ჯარი ვათავისუფლდა; ეს კი, ცხადია, დიდი ძალაა, რომელიც, ან კრაკოვისკენ გაემგზავრება, ან და კარპატეში იბრუნებს პირს, შედარებითი დასვენებული ძაღლიანთ მიიტანს იერიშს ავსტრიელთა იქ მომქმედ ჯარებზე.

პერემიშლის აღება ნეიტრალურ სახელმწიფოების მომავალ მოქმედებებზეც, უეჭველია, საგრძნობელ გავლენას იქონიებს, რადგან მათი დიპლომატია თვალ გაფაციცებით უყურებს საით გადაწონის სასწორი, რომ ამით კოხტათ ისარგებლონ და თავისთვის რამე ააგლიჯონ სუსტს და უხერხულ მდგომარეობაში ჩაგარდნილ მებრძოლ მხარეს.

საფრანგეთში გერმანელები ყუმბარებს უშენენ რეიზსა და სუასონის მიღამოვებში. მდინერთან გერმანელები დიდძალ ჯარს უყრიან თავს; რატომ? მომავალი გვაჩვენებს ამას.

ინგლისის ბლოკადას გერმანია თითქოს ახორციელებს. ერთი კვირის განმავლობაში მათმა წყალქვეშ მთავალმა ნავეებმა დაღუპა სამი ინგლისის გემი და ერთი საფრანგეთისა; ახლა ინგლისიდან იშვიათათ გამოდიან სავაქრო გემები.

სიმაგიეროთ, ინგლისმა და საფრანგეთმა დარდანელთან მედგარი ბრძოლით მთელი კაკობრიობის ყურათღება მიიქციეს. მათმა შეერთებულმა ფლოტმა ყუმბარები დაუშინა სრუტეში შესავალთან აშენებულ სიმაგრეებს — გამიდიეს, ილიზდაოლას და მეჯიდიეს, და ანგრია ისინი და საბოლოოთ გასანადგურებლათ დესანტსაც სხამდენ. რამდენიმე ვერსიც შეიარენ შიგ სრუტეში, მარა წინსვლა დიდის სიფრთხილითა და წინდახედვით ხთება, რადგან მოელი სრუტე ნალმებით არის სავსე და კიდიდან ბატარეებიც გააფთრებით დაუშენენ ყუმბარებს.

საზოგადოთ, თუ გემებთან ერთათ სრუტეს ორივე ნაპირებზე ძლიერმა დესანტმაც არ იმოქმედა დარდანელის გარღვევა შეუძლებელია, ავტორიტეტების აზრით. ამისი დასამტკიცებელ საბუთათ შეიძლება ისიც მოვიგონოთ, რომ სულ რამდენიმე საათში მცუ-

რავი ნალმების წყალობით 32 მილიონის ზარალი ნახა ინგლისმა და საფრანგეთმა თვისი გემების დაღუპვით. და ესეც რომ არ იყოს, ყველასთვის ცხადია მაინც, რომ განსაცთელი, რომელიც ახლა სტამბოლს მოელის, მთელი ოსმალეთის ძლიერების კონცენტრაციას მოახთენს დარდანელსა და ბოსფორზე.

დარდანელი, მართალი რომ ვთქვათ, დიდ საფთხეს წარმოადგენს არა, როგორც საომარი, მიუდგომელი ადგილი — ის საშიშია პოლიტიკური მხრითაც: ყველას კარგათ აქვს აწონილ-დაწონილი დარდანელის მნიშვნელობა; კარგათაც იციან, თუ რა წარჩინებას მიცემს მისი პატრონობა ამა, თუ იმ სახელმწიფოს და, ამიტომ, ეს საკითხი სწორეთ რომ ის „ფეხწასატეხი“ ქვაა, რომელსაც დიდი უბედურების მოტანა შეუძლია. დარდანელის ბედით ნამეტურ დაინტერესებულია ბალკანეთი, და იტალია; მათი „ნეიტრალობაც“ ბევრით არის ამ საკითხზე დამოკიდებული.

კავკასიის ფრონტებზე რამდენიმე ძლიერი შეტაკება იყო: რუსებმა აიღეს ხოპა და თანდათან მიიწვევენ წინ რიზესა და ტრაპიზონისკენ.

სერბიაში, როგორც წინათ, სასიამოვნო არაფერია.

ჩინეთმა, გაზეთების სიტყვით, უარი განუცხადა იაპონიას მოთხოვნების უმთავრეს მუხლების ასრულებასზე და მოსალოდნელია მათ შორის განხეთქილება. ჩინეთი უკვე შედგომია თვის ფინანსების გაუმჯობესებას.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები:

1. ჩარლზ დარვინი, მისი ცხოვრება და სამეცნიერო მოგაწეობა. დ. ახლელდიანის.

2. ოსეთი ქართული წიგნები. ზაქარია ჭიქინაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე.

მიღება 1915 წ. ზირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სა-
ლიტერატურო და სანაოლიტიკო ჟურნალ

'გ ა ნ თ ი ა დ'-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანე-
ლობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.,
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხე-
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივ-
ნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილ-
თან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან,
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრე
ლიძესთან, ბათუმში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავ-
კავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридо-
новичу Панцхавა.

ამიერიდან ძ. ჟუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია
„სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-
კიდებულთა თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაქრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი
პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვი-
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სრა
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ა. ა. წინცაძე.